# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 20 თებერვალი 2004 №37 (2056) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## რა მინდოდა წვენებში?! კვიპროსი 3:1

## რა შუაშია საქართველო?! შუაში კი არა, ბოლოშია ყაზახეთთან

## კაპიტანმა ბოისამ ოლიმპია დიდ ტალღას გადაატარა

*გუშინ ევროპის საკალათბურთო ფიცარნაგებზე ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპი გასრულდა და 24 მონაწილიდან 16 ილბლიანი შეირჩა. მეორე ჯგუფური ეტაპის მატარებელს სულ ბოლოს შეახტნენ ვლადიმერ ბოისა და მისი „ოლიმპია“ და ეს სწორედ სლოვენიელთა ჩვენებური კაპიტნის წყალობით მოხდა. „ოლიმპია“ არასდროს დარჩენილა რჩეულ 16-ს მიღმა, ბოისას კი ასე კარგად დიდი ხანია, არ უთამაშია. რა მის გუნდს მისჭირდა, ვოვამ მაშინ გამოიღო ხელი და 27 ქულით პირადი რეკორდი დაამყარა ევროლიგაში. „ოლიმპიამ“ კი ოვერტაიმიან ომში მეზობელ ხორვატთა „ციბონა“ შემუსრა, ჯგუფში მეოთხე ადგილამდე ალზევდა და შემდეგ წრეშიც რიხინით გავიდა.*

*„ოლიმპიას“ გამარჯვებამ მეორე ეტაპის გზა გაუხსნა სამ ჯგუფში საუკეთესო მეექვსე ადგილის დამჭერ „ჟალგირისს“, რომელმაც თავისი წილი ისტორიული ომი კაუნასში ცსკა-სთან წააგო.*



ვლადიმერ ბოისამ პირველი ჯგუფური ეტაპი პირადი რეკორდით დაამთავრა




## ზიდანი რეალში დაბერდება

*2007 წლის 23 ივნისს ზინედინ ზიდანი 35 წლისა მოიყრება, დღეობიდან ზუსტად ერთ კვირაში კი მადრიდის „რეალთან“ კონტრაქტი დაუმთავრდება.*

*ეს გუშინ გადაწყდა: 2003 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი კიდევ სამი წლით, 2007 წლის 30 ივნისამდე დააპურებს ფეხბურთის გურმანთ სამეფო გუნდის მაისურით და მერე... ზიზუმ ამასწინათ თქვა: კარიერის დასრულებას „რეალში“ ვაპირებ.*

## კვიპროსის ტურნირი 2004

# ჩვენი გაქანება ჩაქანება

### კვიპროსი 3:1 საქართველო

**1:0, 2:0 ხარლამპიდისი (45, 55), 2:1 გაბიდაური (56), 3:1 ელია (73)**
**კვიპროსი:** ავგუსტი, იაკოფოუ, ანტონიუ, ჩარალამბუსი, ტეოდოტუ, გერმანოუ, სატსიასი, ელექტერიუ, ხარლამპიდისი, ნიკოლასი, სტავროსი
**საქართველო:** გვარამაძე, ქემოკლიძე, შაშიაშვილი, წერეთელი (მაღრაძე 80), კვირკველია, დარასელია, ნემსაძე (კორღალიძე 80), გოგობერიშვილი (მელქაძე 71), გაბიდაური, ქინქლაძე, ს. იაშვილი

საქართველოს ნაკრებმა, უფრო სწორად, ნაკრების ხუთმა წევრმა, დინამოელებმა და ექსპერიმენტის კიდევ რამდენიმე მონაწილემ, კვიპროსზე მორიგი მარცხი იწვნიეს. ამჯერად ამ მარცხს შემადგენლობის ექსპერიმენტულობა ვერ გაამართლებს. კვიპროსი, მართალია, მასპინძელი იყო, მაგრამ ამის გადამწყვეტ ფაქტორად მონათვლა მართლაც რომ უსუსური არგუმენტია. ანგარიში 1:3 კი, დიდი თუ არა, სოლიდურია.

ჰოდა, ნულარ გვიკვირს ფიფაკოკა კოლას რეიტინგში საქართველოს მუდმივი რეგრესი და ფსკერისკენ ჩაქანება. არ შეიძლება ექსპერიმენტები ეროვნული ნაკრების სახელით. საამისოდ ჩვენზე უფრო გამართული საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნებში მოიგონეს კლუბების ნაკრები, ან ექსპერიმენტული ნაკრები, რომელსაც ხმაურიან სახელს — ეროვნული ნაკრები — არ არქმევენ.

თუმცა, სჯობს, საქართველო — კვიპროსის გუშინდელ პერიპეტიებს დავუბრუნდეთ. ჩვენმა ნაკრებმა 4-5-1 სისტემით ითამაშა. ეგაა, რუმინელებთან მატჩისგან განსხვავებით დარასელია უფრო წინ იყო წაწეული და მეორე ფორვარდის როლსაც ასრულებდა. პირველი ტაიმი, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, საქართველოს ნაკრების სრული უპირატესობით წარიმართა და ჩვენებს მინიმუმ სამჯერ მართებდათ ანგარიშის გახსნა. გაბიდაურის დარტყმა ხარიხამ აისხლიტა; დარასელიას ჯარიმიდან გასროლილი ცხრიანიდან კვიპროსელთა მეკარე ავგუსტიმ გამოაძრო. იმავე დარასელიას უზუსტესი პასით ხელსაყრელ პოზიციაზე გავიდა იაშვილი, თუმცა მეკარეს ძალიან მიუახლოვდა და მომენტიც გაუცუდდა. ბოლოს კი, 45-ე წუთზე, შეტევით გართულმა ქართველებმა გოლი მიიღეს: ხარლამპიდისმა დაცვის და გვარამაძის შეცდომით ისარგებლა.

მეორე ტაიმის დასაწყისში კვიპროსელებმა კუთხური ჩამოაწოდეს და ხარლამპიდისმა დუბლი თავური დარტყმით მიითვალა. ამის შემდეგ ქართველ ფეხბურთელებს ერთხელაც ჰქონდათ გოლის გატანის შანსი, თუმცა ავგუსტიმ იაშვილს ამჯერადაც აჯობა. მესამე გოლი შეცვლაზე შესულმა ელიამ გაიტანა და კვიპროსის ნაკრებმა საქმე მოთავებულად ჩათვალა. 73-ე წუთზე კი გაბიდაურმა დარასელიას პასი მიიღო და საჯარიმოს მისადგომებიდან აუღებელი დაარტყა, რითაც ჩვენი ნაკრები სამარცხვინო ანგარიშით მარცხისგან იხსნა.

21 თებერვალს საქართველოს ნაკრებს მე-7 ადგილისთვის ყაზახეთის ნაკრებთან მატჩი ელის.

**დავით ერაძე**

# აუუ, კიდევ რეკავენ...

*კვიპროსის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობა საუბარს და მატჩის შეფასებას გაურბოდა. ეს არცაა გასაკვირი, კვიპროსის დონის ნაკრებთან დამარცხება დამთრგუნველი ამბავია.*

*ერთადერთი, ვინც ინტერვიუსთვის მოვიხელთეთ, ვიტალი დარასელია აღმოჩნდა, თუმც მასთან საუბრისას მხოლოდ სანაკრებო ამბებით არ შემოვფარგლულვართ*



— კვიპროსის ნაკრებთან მარცხის მერე კომენტარი ძნელი საქმეა. და მაინც...

— რა კომენტარი შეიძლება გაკეთდეს?! ძალიან ცუდია, როდესაც კვიპროსსაც ველარ უგებ, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა ამ შემადგენლობით მეტის გაკეთება არ შეგვძლებია. თუმცა, ალალად გეტყვი, წასაგები თამაში არ იყო. პირველ ტაიმში ჩვენს ნახევარზე ხეირიანად არც გადმოსულან. სახიფათო მომენტზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამ დროს მინიმუმ ორჯერ მაინც შეგვეძლო ანგარიშის გახსნა. კვიპროსელთა მეკარემ ხომ საერთოდ თავი გაიგიჟა. მარტო მე ისეთი მკვდარი ბურთი ამიღო, თვალებს არ ვუჯერებდი.

**— დღეს რომელ პოზიციაზე ითამაშე?**

— პირველ ტაიმში უფრო წინ წაწეული ნახევარმცველი ვიყავი, თავდამსხმელის უკან ვითამაშე, მეორე ტაიმიდან კი ცენტრში.

**— შენს სათამაშო ფორმას თუ იბრუნებ?**

— ძალიან შორს ვარ იმისგან, როგორც თუნდაც მოსკოვში ვითამაშე. ესენგეს ტურნირის შემდეგ ხეირიანად არც მივარჯიშია, ჩემი კონტრაქტის საქმეს ვაგვარებდი. შეუძლებელია, ეს ფორმაზე არ ასახულიყო.

**— რით ახსნი ჩვენი ნაკრების ასეთ სუსტ თამაშს?**

— პირველი რიგში იმით, რომ საკმაოდ ბევრი დებიუტანტი და გამოუცდელი ფეხბურთელი გვყავდა. შემდეგი ფაქტორი კი ისაა, რომ უმეტეს ქვეყნებში გაგანია საფეხბურთო სეზონია, აგერ, რუმინელთა ლიდერი მუტუ „ჩელსიში" დაფრინავს. კვიპროსზეც გახურებული სეზონია. ჩვენ კი მოსამზადებელი პერიოდის და დატვირთვების ფონზე ვთამაშობთ. ეს ყოველთვის აისახება თამაშის ხარისხზე.

**— კვიპროსზე ჩამოსულმა სხვა ლეგიონერებმა მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშეს და თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ. რატომ არ მოიქეცი ასევე?**

— კლუბთან შეთანხმებული ვიყავი, რომ კვიპროსზე სამივე მატჩს ვითამაშებდი და ამით პრაქტიკას ალვიდგენდი. ვფიქრობ, „ალანიას" დუბაიში უკვე სათანადო ტონუსით შევუერთდები.

**— როდის მოხდება ეს?**

— 22 თებერვალს თბილისში ჩამოვალ, 23-ში კი დუბაიში გავფრინდები. სწორედ იქ გავიცნობ კურბისსაც და თანაგუნდელებსაც. საკმაოდ სერიოზული მოსამზადებელი იქნება 4 ამხანაგური მატჩით. აქცენტი კი ბურთთან ვარჯიშზე და სხვადასხვა კომბინაციის დახვეწაზე გაკეთდება.

**დავით ერაძე**

## კვიპროსის ტურნირი 2004

| |
|---|
| **ნახევარფინალი. გუშინ** |
| **ბელარუსი 2:0 რუმინეთი** |
| 1:0 დანილესკუ (32პ.), 2:0 ნიკულაე (48) |
| **ლატვია 1:2 უნგრეთი** |
| 1:0 სტეპანოვსი (65), 1:1 ტოკოლი (82), 1:2 კენეშეი (85) |
| **მე-5 — მე-8 ადგილებისთვის. გუშინ** |
| **ყაზახეთი 2:3პენ (3:3) სომხეთი** |
| 0:1 პეტროსიანი (52), 1:1 ჟუმასკალიევი (53), 1:2 ა. კარამიანი (73), 2:2 ჟუმასკალიევი (75), 3:2 ფინოჩენკო (76), 3:3 ა. კარამიანი (80) |
| **ფინალი. ხვალ** |
| **უნგრეთი — რუმინეთი** |
| **მატჩი მე-3 ადგილისთვის. ხვალ** |
| **ბელარუსი — ლატვია** |
| **მატჩი მე-5 ადგილისთვის. ხვალ** |
| **კვიპროსი — სომხეთი** |
| **მატჩი მე-7 ადგილისთვის. ხვალ** |
| **საქართველო — ყაზახეთი** |

# შრგმგმლი სარგმგმლი

**სამშაბათს** საქართველოს ნაკრებად წოდებული რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერებული „დინამო" რუმინეთის ნაკრებს შეხვდა და დამარცხდა. გუშინ კი იმავე საქართველოს ნაკრებმა კვიპროსის ტურნირის მასპინძელთანაც წააგო.

რუმინეთთან თამაშის დღეს თბილისური ტოტალიზატორების უმეტესობამ, თითქოს პირი შეკრესო, რუმინეთ — ვითომ საქართველოს მატჩი თავისი პროგრამებიდან ამოიღეს.

არადა, პირის შეკვრა არავის უფიქრია, უბრალოდ, ტოტალიზატორთა ცხრილები ყოველგვარ ეგზიტპოლებზე უკეთ ასახავს ხალხის განწყობას და რაკი რუმინელთა გამარჯვებას უმცირესი კოეფიციენტი კი არ დაუწერეს, არამედ საერთოდ ამოიღეს ცხრილიდან, მხოლოდ და მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს — საქართველოში ვერ მოიძებნა კაცი, რომელიც ფულს საქართველოს ეგრეთ წოდებული ნაკრების მოგებაზე ჩავიდოდა.

და თქვენ გგონიათ, საქართველოს ნაკრები მართლა ეგეთი უსუსურია? არა, ბატონებო. კვიპროსის ტურნირზე ზედიზედ იმიტომ ვაგებთ, რომ ბოლოსწინა ადგილისთვის ბრძოლაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩვენს მომავალ მეტოქე ყაზახეთს შევხვდეთ და ვნახოთ, რა გუნდია.

თქვენ კი, ვინძლო, გეგონათ, რომ საქართველოს ნაკრების უსუსური თამაში უმწვრთნელობის და უცნაური შემადგენლობის ბრალი იყო...

*გუშინ თურქმენეთის ქვეყნის პრეზიდენტის, საფართმურატ თურქმენბაშის ნიაზოვის დაბადების დღეს ზეიმობდა. ეს ამბავი აშხაბადში ყოველთვის დიდი ხალისით და ხმაურით აღინიშნება...*

# აბა, ტაში!

## თურქმენეთში და გაჭყლეტილი ტორპედო

გუშინ თურქმენეთში „პრეზიდენტის თასის" ფინალიც იყო. ჰოდა, ისე როგორ იქნებოდა, ქვეყნის თავისთვის დაბადების დღე ფეხბურთელებსაც არ მიელოცათ. მიულოცეს კიდეც, ოღონდ ამ საქმეში ქუთაისის „ტორპედო" გაიჭყლიტა. ადგილობრივმა „ნისამ" გადამწყვეტ მატჩში 3:2 სძლია ოთარ გაბელიას გუნდს და თასიც დაიტოვა.

ტორპედოელები ჯერ კიდევ ჯგუფური ეტაპისას შიშობდნენ, აქაურებს მსაჯები ძალიან ეხმარებიან და ვაითუ, ფინალში უარესი დაგვმართონო. ჩვენგან რაიმეს მტკიცება მართალი არ იქნება, მაგრამ თურქმენები რომ ჩემპიონობისთვის ყველა ღონეს იხმარდნენ, მთლად დაუჯერებელი ამბავი არ უნდა იყოს.

— საშინელი მსაჯობა იყო. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ ასეთ პირობებში მოგება მართლაც შეუძლებელია. თავიდან ყველაფერი კარგად იყო, უპირატესობასაც ვფლობდით და ალექსანდრე კოშკაძის გოლით პირველი ტაიმი 1:0 მოვიგეთ. „ნისამ" კი გაგვითანაბრა, მაგრამ გიორგი დარსაძემ მალევე დაგვაწინაურა და ამის მერე... გვითხრა გუშინ „ტორპედოს" ერთ-ერთმა მწვრთნელმა *გელა კიკალეიშვილმა*, რომელსაც ნამატჩევს შევეხმიანეთ.

ერთი სიტყვით, 70-ე წუთამდე „ტორპედო" 2:1 იგებდა და... ისევ კიკალეიშვილი: „დროის გასვლასთან ერთად მსაჯების მიკერძოება უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა და ჩვენთვის მოულოდნელი უკვე არაფერი იყო — ექვს წუთში ორი პენალტი დაგვიდეს და 2:3 წავაგეთ. მეტი რა გითხრათ"...

„ტორპედომ" „ნისასთან" ასეთი სასტარტო შემადგენლობით ითამაშა: *სტურუა, მახვილაძე, დ. ჭელიძე, მემარნიშვილი, თოდუა, ადუაშვილი, ბოლქვაძე, ბაბუნაშვილი, ნერგაძე, კოშკაძე, დავითაშვილი.*

ქუთათურები აშხაბადიდან გუშინვე აიბარგნენ და გვიან ღამით ბაქოში ჩაფრინდნენ, საიდანაც კლუბის ავტობუსით დღეს ქუთაისში დაბრუნდებიან.

**ბაჩა შალამბერიძე**

## ჰოლანდია

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

**მაასტრიხტი 1:3 ოსი**
**დენ ბოსხი 3:1 სიტარდი**

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

*16-17 თებერვალს ბარსელონაში ჩატარდა ევროპის საფეხბურთო კლუბების ფორუმი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის 52 ფედერაციის 102 წევრ-წარმომადგენელს აერთიანებს და წელიწადში ორჯერ იმართება. კლუბთა, შესაბამისად, ქვეყანათა შერჩევა მათი კოეფიციენტების მიხედვით ხდება. ფორუმს წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე თავკაცობს. ქვეყნებს კლუბების წარმომადგენლობა იმ პრინციპით ერგოთ, როგორც ჩემპიონთა ლიგაზეა, ანუ წამყვან ევროპულ ქვეყნებს 5 წარმომადგენელი (იტალია, ესპანეთი, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი), შემდეგ 3, 2 და ბოლოს 1. შესაბამისად, ქვეყნები და ჯგუფები ფერებად დაჰყვეს — წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი. საქართველო ლურჯებში მოხვდა. ბარსელონაში თბილისის „დინამოს“ კლუბის საერთაშორისო განყოფილების კურატორი გიორგი ნოდია წარადგენდა*

# უეფა სხვანაირად დააფორმატეს

— ფორუმი 2002 წლიდან ეწყობა, წლეულს კი ის ყველაზე წარმომადგენლობითი იყო, რაც განხილულ თემათა სპეციფიკამ გამოიწვია. განხილული იყო უამრავი წინადადება და კონცეპტუალური პროექტი. ყურადღებას იმ პუნქტებზე შევაჩერებ, რომლებიც უფრო აქტუალური უნდა იყოს საქართველოსთვის. პირველი სიურპრიზი, რაც დამსწრეთ გველოდა, გახლდათ ის, რომ G-14-ის ეგრეთ წოდებულ ევროსაკლუბო ელიტარულ ჩემპიონატს მხარი არავინ დაუჭირა, ანუ არც წითელჯგუფელმა ქვეყნებმა, რომელთა გუნდებიც უნდა მოხვედრილიყვნენ G-14-ის გათამაშებაში. ეს ისედაც გადატვირთული გრაფიკითა და ამ წამოწყების უსარგებლობით დასაბუთდა.

**— G-14-მდე საქართველოს კიდევ ბევრი უკლია...**

— საქართველოსთვის საინტერესო უეფას თასის ფორმატის შეცვლის ვარიანტი იყო. თუმცა ეს უკვე სამუშაო ვარიანტიც აღარაა, 22-23 მარტს დუბლინში უეფას აღმასრულებელი კომიტეტი ოფიციალურად დაამტკიცებს მას. ამიერიდან უეფას თასს ექნება ორი საკვალიფიკაციო ეტაპი, სულ 56 გუნდი. საქართველოს თასის მფლობელი და მეორეადგილოსანი გათამაშებაში პირველი ეტაპიდან ჩაერთვებიან. მეორე ეტაპზე 56 გუნდიდან რჩება 28, რომელთაც კოეფიციენტით უფრო მაღლა მდგომი 36 გუნდი დაემატება — სულ 64. ამის შემდეგ იწყება პირველი ტური, ანუ 32 დარჩენილ გუნდს დაემატება კოეფიციენტით უფრო მაღლა მდგომი კიდევ 32 კლუბი და ჩემპიონთა ლიგის 3 საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოვარდნილი 16 გუნდი. ამ 80 კლუბიდან საბოლოოდ რჩება 40. ამის მერე იწყება ჯგუფური ტურნირი. იქმნება 8 ხუთგუნდა ჯგუფი. ოღონდ თამაშები არ ჩატარდება მიმოსვლის პრინციპით, ყოველივეს კომპიუტერული კენჭისყრა და კოეფიციენტები გადაწყვეტს. ჯგუფიდან 3 გუნდი გადის. პირველ ადგილზე გასული ხვდება სხვა ჯგუფში მე-3 ადგილზე გასულს. მე-2 ადგილზე გასული კი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირიდან გამოვარდნილი 8 გუნდიდან ერთ-ერთს. პირველ და მეორე ადგილებზე გასულ კლუბებს მცირე პრიორიტეტი ეძლევათ, ისინი საპასუხო მატჩებს შინ გამართავენ.

**— ეს ყოველივე ალბათ უეფას თასის პოპულარიზაციის მიზნითაც კეთდება...**

— არა მარტო. უკვე დაწყებულია გათამაშების ფართო რეკლამირება, რისთვისაც საკმაოდ დიდი თანხები გამოიყოფა, მართალია, ლოგოტიპი და გათამაშების სახელი არ შეცვლილა, მაგრამ შეიცვალა მიდგომა. გადაწყდა, რომ ლიგის მსგავსად ცენტრალიზებული მარკეტინგი არ შეიქმნება. მინიმუმ ორი წელი გუნდებს ტელეტრანსლაციის უფლებები დარჩებათ, ვინაიდან ზოგიერთ კლუბს ტელევიზიებთან მრავალწლიანი კონტრაქტი აკავშირებს.

ერთი სიახლეც: უეფას თასის გამარჯვებული შეხვდება აზიის ჩემპიონთა თასის გამარჯვებულს. შეხვედრა ჰონკონგში ან დუბაიში გაიმართება და, ბუნებრივია, ესეც ფეხბურთის და უეფას თასის პოპულარიზაციას ემსახურება.

ჯერ ღიად დარჩა ერთი, საკმაოდ საინტერესო საკითხი: ნაკრებებში გამოძახებულ ფეხბურთელთა ტრავმებისას კლუბებისთვის კომპენსაციის გადახდაა. ამ მოსაზრებას ყველამ დაუჭირა მხარი.

**დავით ერაძე**




გიორგი ნოდია ბარსელონაში

# ჩამუა დიდი კაცი და გვაჭმევს პაწას



ბახვა გიორგაძე

*ოზურგეთის „მერცხალი“ არ დაიშლება და ჩემპიონატს გააგრძელებს. გურულებმა წელებზე ფეხი დაიდგეს და გუნდის გადასარჩენად ორი კაპიკი იშოვეს. „მერცხალს“ დახმარებას დაჰპირდა ოზურგეთის გამგეობა*

— სამომავლოდ ერთი ოზურგეთელი ბიზნესმენის გვეიმედება, ვინც ამჟამად რუსეთში საქმიანობს და „მერცხალის“ ჩამუა — გვიჩხრა ოზურგეთელების ტექნიკურმა დირექტორმა ბახვა გიორგაძემ — ვნახოთ, რა გამოვა, ეს კაცი ოზურგეთში ერთ თვეში უნდა ჩამოვიდეს და გეგმებზე დავილაპარაკებთ.

„მეცხალი“, უკვე ვწერდით, ჭინჭარაულმა და ვეტერანმა კალანდაძემ მიატოვეს, ისინი, შესაბამისად, „ტორპედოში“ და „კოლხეთში“ წავიდნენ. ორიოდ დღის წინ კი კალანდაძის გზას გაბედავაც გაჰყვა და მეორე ეტაპიდან ისიც ფოთში ითამაშებს.

— ფეხბურთელების შენარჩუნებას ვცდილობთ, არ გვინდა, ჩემპიონატი მთლად ახალი გუნდით განვაახლოთ. ბიჭები მზად არიან, განახევრებული ხელფასით ითამაშონ, თუმც როდემდე დავაკავებთ მათ, არ ვიცი. ფეხბურთელებს რომ კვების საკითხი მოვუგვაროთ, ჩვენთვის ესეც საგმირო საქმე იქნება — ამბობს ბახვა გიორგაძე.

ჩვენ კი დავძენთ, რომ ოზურგეთელებს უმაღლესიდან გავარდნისგან მხოლოდ სასწაული თუ იხსნის. გურულებისთვის ისიც საქმე იქნება, თუ პირველ ლიგაში ადგილს არ დაკარგავენ და თამაშს გააგრძელებენ. ნელ-ნელა კი, ალბათ, მათაც ეშველებათ.

**ლუკა თალაკვაძე**

# რატიმ წმინდა რუსულიც ნახა

*თურქეთში მყოფმა „როსტოვმა“ მეორე ამხანაგური მატჩი გამართა. როსტოველებს ამჯერად რუსეთის პირველლიგელი, ჩიტის „ლოკომოტივი“ დაუპირისპირდა. რანგით მაღლა მდგომმა „როსტოვმა“ 1:0 გაიმარჯვა. როსტოველთა სასტარტოში იყო რატი ალექსიძე, თუმცა მან მხოლოდ 45 წუთი დაჰყო მოედანზე. მეორე ტაიმში მის ნაცვლად მისმა უმთავრესმა კონკურენტმა ადამოვმა ითამაშა. შეხვედრის დამთავრებისთანავე ალექსიძეს შევეხმიანეთ*



— ძალიან მძიმე, ხისტი და უხეში თამაში იყო. მოედანიც ვერ იყო ხეირიანი, რაც თამაშს კიდევ უფრო ართულებდა. მე მხოლოდ პირველი ტაიმი ვითამაშე, შემდეგ მუხლის ტკივილი ვიგრძენი და შეცვლა ვითხოვე. ახლაც ექიმთან ვარ და შემოწმებას გავდივარ.

**— ტრავმა „ლოკომოტივთან“ თამაშისას მიიღე?**

— არა. ჯერ კიდევ რუმინულ „დინამოსთან“ ვიტკინე და წესით დღეს არც უნდა მეთამაშა, მაგრამ მაინც გავრისკე, თანაც, ხომ იცი, კონკურენციაც გასათვალისწინებელია.

**— გოლი ადამოვს ხომ არ გაუტანია?**

— გოლი ჩვენმა კაპიტანმა ოსინოვმა პენალტით გაიტანა.

**— პირველ ტაიმში რაიმე გამოსარჩევ-დასამახსოვრებელი მომენტი თუ გქონდა?**

— არა. მთლიანობაში საკუთარი თამაშით კმაყოფილი არ ვარ, თავიდანვე არ წამივიდა. საერთოდ, მატჩიც ტიპიური რუსული „ბეიბიგი“ იყო. თუმცა ჩვენს კლუბს ეტყობა, რომ დღითი დღე ლაგდება. მეც, შედარება არაა, უფრო მიადვილდება პარტნიორებთან სათამაშო ურთიერთობა.

**— შენი ტრავმა ხვალინდელ ვარჯიშსაც ხომ არ გამოგატოვებინებს?**

— არა მგონია, სერიოზული არ უნდა იყოს. საბოლოოდ მაინც ექიმის გადასაწყვეტია. თუ მეტყვიან, შეიძლება პირველი ვარჯიში გამოვტოვო და საღამოს ვარჯიშზე შევუერთდე გუნდს.

**დავით ერაძე**

# კურბისის არა მენთეშაშვილს

**არ მიმართლებსო,** ზურაბ მენთეშაშვილმა უნდა თქვას. ვლადიკავკაზური „ალანია“ ყველანაირად ნავსიანი გამოდგა ქართველი ნახევარმცველისთვის.

გავიხსენოთ: 2003 წლის დამდეგს რიგის „სკონტოდან“ ოსურ კლუბში გადაბარგებული მენთეშაშვილი ბედს არ უჩიოდა. „ალანიას“ თავკაცი რევაზ ძოძუაშვილიც ენდობოდა და საქმეებიც აეწყო... ყველაფერი ძოძუაშვილის გადადგომამ არია — მენთეშაშვილმა სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა.

ჩვენებურს დიდხანს არ უფიქრია და „სკონტოდან“ შეხმიანებას უმალ დათანხმდა. მენთეშაშვილი ყოფილ კლუბს სეზონის ბოლომდე იჯარით შეუერთდა და სანამ ვლადიკავკაზელები ზურას ტრანსფერზე დაყენებით ემუქრებოდნენ, ლატვიის ჩემპიონიც გახდა.

ოსების გული მოსკოვში მოლბა. წლევანდელი „თანამეგობრობის თასის“ ფინალში გასულ „სკონტოში“ თუ ვინმე გამოირჩეოდა, ერთ-ერთი ზურაბ მენთეშაშვილი იყო.

ამასობაში „ალანიას“ მწვრთნელად ფრანგი როლან კურბისი დაინიშნა და სკონტოელს შეკრებაზე არაბულ აბუ დაბიში უხმეს. თითქოს ისევ ყველაფერი რიგზე იყო — „მენთეშას“ ვლადიკავკაზში დაბრუნებას წინ არაფერი ედგა...

გუშინწინ „ალანიამ“ შეკრების ბოლო სპარინგი გამართა არაბულ „ალ-ვაჰდასთან“, რომელსაც ერთხანს სწორედ კურბისი წვრთნიდა და 2:1 მოიგო. ლევან გვაზავა და ზურაბ მენთეშაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყვნენ. ოსთა კიდევ ერთი ქართველი ვიტალი დარასელია კი, მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრებს კვიპროსზე ახლავს.

ვლადიკავკაზელთაგან ორივე გოლი სმირნოვმა გაიტანა, რომელთაგან პირველში მენთეშაშვილის ფეხიც ერია — ჩვენებურის საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი არაბ მცველს აეჭრა, სმირნოვს მიუვიდა და — 1:0. ზურა კურბისმა 75-ე წუთზე შეცვალა, ნამატჩევს კი მას, ლევიცკის, მიხოლაპსს, იასაიტისს და არმუნენს სამსახურზე უარი უთხრა და შეკრებიდან დაითხოვა. ასეთი ინფორმაცია გაავრცელა გუშინ რუსულმა „სპორტ-ექსპრესმა“.

„ალანია“ ვლადიკავკაზში დღეს ბრუნდება, 23 თებერვლიდან კი ბოლო შეკრებას დუბაიში გაივლის, სადაც გუნდს ვიტალი დარასელიაც შეუერთდება. მენთეშაშვილი კი ისევ ჰაერში გამოეკიდა... თუმც გამორიცხული არაა, ის „სკონტოში“ დაბრუნდეს, სადაც ხელგაშლილი მიიღებენ.

**ბახა შალამბერიძე**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები ამხანაგური მატჩები



# ჰერ ოტომ მეთოთხმეტედ დაუსტვინა

### საბერძნეთი 2:0 ბულგარეთი

1:0 პაპადოპულოსი (26), 2:0 ვრიზასი (60)
საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, ფისასი (გუმასი 76), კაპსისი (დაბიზასი 46), დელასი, ბასინასი, ზაგორაკისი, ცარტასი (კაფესი 65), ლაკისი (გეორგიადისი 46), პაპადოპულოსი (ამანატიდისი 46), ხარისტიასი (ვრიზასი 46)
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
ბულგარეთი: ზდრავკოვი (ივანკოვი 54), კირილოვი (კრასტევი 77), ი. პეტკოვი (ტპუზაკოვი 54), ბორიმიროვი (მ. პეტკოვი 54), ბერბატოვი (კაბუროვი 77), ლაზაროვი, პეევი (დიმიტროვი 68), მ. ხრისტოვი (იანკოვიჩი 68), მ. პეტროვი, ს. პეტროვი (იანჩევი 77), პაჟინი
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
6 000 მაყურებელი

**ზედიზედ** თოთხმეტი წაუგებელი მატჩი — საბერძნეთის ეროვნული გუნდისთვის ეს რეკორდია და ამ მიღწევის მთავარი შემოქმედი გერმანელი გახლავთ — ოტო რეჰაგელი.

ჰერ ოტო, ვისაც სტვენაც ძალიან ეხერხება, სამშობლოშიც დაფასებული კაცია, მაგრამ გერმანიაში მასზე ამბობენ, დიდ გუნდებსა და დიდ ნაკრებებს წარმატებით ვერასდროს გაწვრთნისო.

მაგრამ ახლა ის დროა, რეჰაგელის საბერძნეთზე ვთქვათ, რომ ამ თოთხმეტი წაუგებელი მატჩიდან ათი მოიგო და ოთხი ფრედ დაამთავრა.

„საკვირველი გუნდი არ ვართ, მაგრამ ჩვენ არაერთხელ ვაჩვენეთ, რომ ჩვენზე ძლიერად შერაცხული გუნდების დამარცხება შეგვიძლია. შევეცდებით, იგივე გავაკეთოთ პორტუგალიაში როგორც ტურნირის აუტსაიდერებმა — განაცხადა ნამატჩევს კვიმატმა ოტომ და დააყოლა — ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ბიჭებს დღეს საკმარისი მოტივაცია აღმოაჩნდათ და რომ რამდენიმე ტრავმამოშუშებული ფეხბურთელი დაგვიბრუნდა".

ტრავმის გამო ორი თვე გაუცდა პანათინაიკოსელ შემტევ დიმიტრას პაპადოპულოსს, ვინც 17 საკლუბო თამაშში 10 გოლი გაიტანა და დღესდღეობით საუკეთესო ბერძენ ფორვარდად ითვლება. მან პენალტის ნიშნულთან მოიგდო ბურთი და იქიდან დაამწუხრა ბულგარელები.

სტუმართაგან ორი ჩინებული შანსი გაანიავა ლევერკუზენელმა დიმიტარ ბერბატოვმა — ორჯერ ახლოდან ვერ გაიტანა, მერე კი ძელს მოარტყა ბურთი.

მეორე გოლი ბერძენთაგან ვრიზასმა შეაგდო ცაარტასის ჩაწოდების შემდეგ. ამის მერე ბულგარელებს ერთხელაც შეეძლოთ გატანა, მაგრამ ანტონას ნიკოპოლიდისმა ზორან იანკოვიჩს თავური აუღო.

**დავით თავართქილაძე**

# გინება და ტაში

### თურქეთი 0:1 დანია

0:1 იორგენსენი (32)
თურქეთი: რუშთუ, ფათიჰ სონქაია (კაგდასი 73), უმით ოზატი (სელჩუკი 46), იბრაჰიმი, დენიზი (თოლგა 46), გიოქდენიზი (ზაფერი 46), ნიჰათი, თუნქჩაი, უზულმეზი (ფარუკი 68), ალტინტოპი (სერქანი 73), ორჰანი (უგიური 46)
მწვრთნელი: შენოლ გიუნეში
დანია: სორენსენი, ჰენრიკსენი (დ. იენსენი 46; მიკაელსენი 80), ლაურსენი, ჰელვეგი (პრისკე 73), გრავესენი, გრონკიაერი (კ. პერესი 63), კ. იენსენი, ნ. იენსენი, კროლდრუპი, ტომასონი (სანდი 46), იორგენსენი (პ. მადსენი 58)
მწვრთნელი: მორტენ ოლსენი
მსაჯი: ფრანც-ქსავიერ ვაკი (გერმანია)
19 000 მაყურებელი

**ჩვენი** თანაჯგუფელები ერთმანეთს ამხანაგურად ადანაში შეხვდნენ. შენოლ გიუნეშისთვის ეს 50-ე მატჩი იყო და იუბილე გამარჯვებით ვერ აღნიშნა. თურქთა ხოჯამ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები არ გამოიძახა. მას გუნდის გადახალისება სურს და ახალ სისხლს ეძებს. ადანაში ცნობილთაგან მხოლოდ რუშთუ რეჩბერი და ნიჰათ კაჰვეჩი გამოცხადდნენ, ათმა კი სანაკრებო ჰაერი პირველად ჩაყლაპა.

მატჩს თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჰალუკ ულუსოი ესწრებოდა. გულშემატკივრებმა სტადიონზე მწვრთნელ-პრეზიდენტს პლაკატი გამოუფინეს, რომლითაც გიუნეშის და ულუსოის გადადგომას ითხოვდნენ. მიზეზი არახალია — ლატვიასთან ევრო 2004-ის პლეი ოფში მარცხი. ფედერაციის პრეზიდენტი და ნაკრების მწვრთნელი კი წასვლას ჯერჯერობით არ აპირებენ.

ადანური მატჩის ერთადერთი გოლი მარტინ იორგენსენმა გაიტანა. მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს ფორვარდმა ძლიერად დაჰკრა და „ბარსელონაში" უსაქმურობით დატანჯულ რუშთუს გოლის გემო გაახსენა.

დანიელები ოსმალებს უძლიერესი შემადგენლობით ესტუმრნენ და გიუნეშის ექსპერიმენტულ გუნდთან გამართულადაც ითამაშეს. ვიკინგთაგან ლაურსენს შეეძლო მასპინძელთა მეორედ დამწუხრება, მაგრამ იბრაჰიმ უზულმეზმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

თურქთაგან ნიჰათი და „ფენერბაჰჩეს" თავდამსხმელი თუნჯაი გამოირჩეოდნენ. მათ ტომას სორენსენის კარის ჩარჩო თითოჯერ შეატოკეს.

ნამატჩევს შენოლ გიუნეშმა თქვა: „პირველ ტაიმში უკეთ გამოვიყურებოდით, რადგან ბიჭები სწრაფად მოძრაობდნენ და კარგად იხსნებოდნენ. ეს შეხვედრა ახალბედებს გამოცდილებას შესძენს. მეორე ნახევარში ფლანგებზე მოვისუსტეთ, პასებისას კი ბევრი წუნი გვქონდა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, გამოცდილთა და ახალბედათა შეთამაშებას მომდევნო ამხანაგურ მატჩებშიც გავაგრძელებ. დარწმუნებული ვარ, სწორ გზაზე ვდგევართ.

**რომან თურქია**

### ალბანეთი 2:1 შვედეთი

0:1 სელაკოვიჩი (50), 1:1 შკელა (67), 2:1 ალიაი (75)
ალბანეთი: სტრაკოშა, ე. ბექირი, ჩიპი, ჩანა, ალიაი, ჰასი, კ. დურო (ა. ბექირი 81), შკელა, მურატი, რაკლი (ტარე 46), ბუში (მურტაი 46)
მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი
შვედეთი: ისაკსონი, ლუკიჩი, იაკობსონი, ჰანსონი, ედმანი, ლინდეროტი, მ. ნილსონი, კალსტრიომი, ფარნერუდი, ელმანდერი (პრიკა 63), სელაკოვიჩი
მსაჯი: ჯანლუკა პაპარესტა (იტალია)
15 000 მაყურებელი

**ჩვენმა** თანაჯგუფელმა ალბანეთმა შვედეთი წააქცია. ჰანს-პეტერ ბრიგელის გუნდის გამარჯვებას სულაც არ აფერმკრთალებს ის ფაქტი, რომ სკანდინაველებმა სამარქაფოებით ითამაშეს ტირანაში. შვედთაგან ყველაზე ცნობილი სელაკოვიჩი გახლდათ, რომელმაც გახსნა კიდეც ანგარიში მეორე ტაიმის დასაწყისში. თუმც ბრიგელს იმ წუთისთვის უკვე ორი შეცვლა ჰქონდა გაკეთებული და როგორც აღმოჩნდა, ორივე იღბლიანი — ტარემ და მურტაიმ ცეცხლი დაანთეს მოედანზე და მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს თავისიანთა გამარჯვებაში. ალბანელებმა ლამაზად და გონივრულად შემოატრიალეს მატჩი. შკელას საპასუხო გოლი სწორედ ტარე-მურტაის აზრიან კომბინაციას მოჰყვა, თუმც აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ მანამდე შვედებსაც ჰქონდათ გასატანი, მაგრამ სტრაკოშამ კარი არ წააღებინა ელმანდერს და სელაკოვიჩს.

გათანაბრების შემდეგ ალბანელმა „არწივებმა" თვალსაჩინო სათამაშო უპირატესობა მოიპოვეს, რასაც მასპინძელთა ლოგიკური გოლი მოჰყვა. ტარეს წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმით ალიაიმ მოხდენილად ჩაუსვა ბურთი ისაკსონს კარში. ბრიგელის გუნდს მესამეს გატანაც შეეძლო, მაგრამ ზედ საფინალო სასტვენის წინ შკელამ პენალტი ვერ გაიტანა.

„შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ორიენტაციის უნარი დავკარგეთ და ამიტომაც წავაგეთ. სანამ მეტოქე გაგვითანაბრებდა, სამი გოლი უნდა შეგვეგდო. თუმც თავს იმით ვიმშვიდებ, რომ 12 წამყვანი მოთამაშე გვაკლდა" — თქვა შვედთა ერთ-ერთმა თავკაცმა ლარს ლაგერბეკმა.

ალბანელთა დამრიგებელმა ბრიგელმა კი კმაყოფილმა აღნიშნა — სწორი გეგმით მივდივართ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისკენ. მე მჯერა იმ ფეხბურთელების, რომლებმაც დღეს გაიმარჯვეს, მათ გაცილებით დიდი პოტენციალი აქვთ და ამის გამოვლენის შანსი მალე მიეცემათ მსოფლიოს შესარჩევზე. თუკი სწორ გზას არ ავცდით, ალბანეთი მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწევს.

**პაატა ქვანტალიანი**



დანიურ სახლში ღიმილია, თურქულში სტვენა-გინება



# ბლოხინი უკრაინის თვალში ძალიან დაპატარავდა

### ლიბია 1:1 უკრაინა

0:1 პუკანიჩი (14), 1:1 კარა (55)
ლიბია: აბუდი (ალ ამი 46), სუში (გილანი 46), მასლი (აბდუსადეკი 69), კადაფი (სვეკერი 84), კარა (აბოშანი 70), ტარხუნი (დახმანი 89), მახმუდი (ალ ხიმალი 69), ალ კიკლი, კამიზი, ოსმანი, ალ სიბანი
უკრაინა: შოვკოვსკი, სიმონენკო (ჩეჩერი 62), შერშუნი, გოლოვკო, გაი, ტიმოშჩუკი, პუკანიჩი (ლუცენკო 50), შიშჩენკო (ტკაჩენკო 66), კოსირინი (ონიშჩენკო 74), რებროვი (ბალაბანოვი 62), ვორონინი (კაბანოვი 59)
მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი
20 000 მაყურებელი

**გავაგდოთ** სურკისი ფედერაციიდან! მან იმ ბლოხინს მისცა ნაკრები, რომელიც ვიღაც ლიბიას ვერ უგებს... ეს ყველაფერი ფარსია. ვისთან ვითამაშეთ ფრე? ეს ჩვენი სირცხვილია... ასეთი და ამაზე უარესი რისხვა მოჰყვა გულშემატკივართა მხრიდან „ლურჯ-ყვითელთა" გუშინწინდელ ფრეს საკადაფოში.

პოლკოვნიკ მოამარ კადაფის ძალად ფეხბურთელმა ვაჟმა საადმა დაიქადნა, 2010 წელს ჩვენთან ჩავატარებთ მსოფლიოს ჩემპიონატს და ამ საქმისთვის 12 მილიარდ მწვანეს ჩავდებთო. ასეთ კაცთან საქმის დაჭერა რატომ არ უნდა ყოფილიყო მომგებიანი, ჰოდა, უკრაინელებმაც ერთი-ორი წარმატებული ხელშეკრულება გააფორმეს საკადაფეთში და ზედაც ამხანაგური მატჩიც დააყოლეს. უკრაინელ ქომაგებს კი ამ საფეხბურთო ბიზნესის გაგონებაც არ სურთ, ისეთ დღეში არიან, ლამისაა, პრეზიდენტ სურკისის და მწვრთნელ ბლოხინის ფიტულები დაწვან. ქომაგთა აზრით, ლიბიასთან ფრე სამარცხვინო იყო თუნდაც უკრაინელთა გადახალისებულ-ექსპერიმენტული შემადგენლობისთვის.

ტრიპოლიში მყოფი უკრაინელი ჟურნალისტები საგანგებოდ აღნიშნავენ ლიბიის ნაკრების საფეხბურთო გაუნათლებლობას. არაორგანიზებული, ტაქტიკურად და ტექნიკურად უცოდინარი, ვითომ ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ჯგუფი — ასეთი შთაბეჭდილება დატოვეს ლიბიელებმა სტუმრებზე ასეთ ჯგუფს უკრაინამ დებიუტშივე გაუტანა გოლი. ძირითადში პირველად გამოჩენილმა ადრიან პუკანიჩმა კოსირინის ფლანგური პასისას თავით შეაგდო და აქედან მოყოლებული, უკრაინას რამდენჯერმე ჰქონდა ანგარიშის გაზრდის შანსი. მასპინძელთა ფაფხურს კი რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა, საად კადაფი და მისიანები ვერაფრით შედიოდნენ მეტოქის საჯარიმოში და მატჩის ბოლომდე არც შესულან. აბა, როგორ გაათანაბრესო, იკითხავთ. კადაფიანთა გოლში მეკარე შოვკოვსკიმ დაიდო დიდი წილი. უკრაინელთა მეკარე საჯარიმოს გარეთ გავარდა ბურთის მოსაგერიებლად და ბავშვური შეცდომა დაუშვა — ფეხებში გაუძვრა ბურთი და მოულოდნელი საჩუქრით გაოგნებულმა კარამ თავს აჯობა, ძალიან მოინდომა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი.

რაღა თქმა უნდა, უკრაინას მოგებაც შეეძლო, მარტო ბოლო ხუთ წუთში სამი ასპროცენტიანი მომენტი ჰქონდათ ხოხოლებს.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ბლოხინმა ექსპერიმენტულ შემადგენლობაზე და უხარისხო მოედანზე დაიწუწუნა, თუმც ამან ჟურნალისტების რისხვისგან მაინც ვერ იხსნა. ბლოხინმაც, ახლა შემეშვით და, კიევში დაბრუნებისთანავე ტელევიზიით გამოვალ და საჯაროდ ავხსნი მომხდარსო.

**პაატა ქვანტალიანი**

### კვიპროსის ტურნირი 2004

**ლატვია 3:1 ყაზახეთი**

0:1 აქსიონოვი (34), 1:1 პახარსი (40), 2:1, 3:1 ლაიზანსი (45, 66)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩები

# ტრაპატონიმ გული გახსნა
## როსიცკიმ გარემო მოირგო



ანტონიო დი ნატალემ (მარჯვნივ) თავი გამოიდო და მწვრთნელის გული მოიგო

**იტალია 2:2 ჩეხეთი**

1:0 ვიერი (14), 1:1 სტაინერი (42), 2:1 დი ნატალე (86), 2:2 როსიცკი (89)
იტალია: ბუფონი (ტოლდო 46), პანუჩი (ოდო 46), ლეგროტალიე (ფერარი 46), ნესტა (ადანი 46), ბეტარინი (პანკარო 79), ფიორე (ნერვო 64), პირლო (ბარონე 46), პეროტა (ვოლპი 82), დელ პიერო (დი ნატალე 64), ტოტი (კორადი 46), ვიერი (დელვეკიო 46)
ჩეხეთი: ბლაჟეკი (კინსკი 46), გრიგერა (ჟირანეკი 46), ბოლფი (ვორიშეკი 88), როზენალი (დრობნი 46), იანკულოვსკი, პობორსკი (ტისი 46), გალაშეკი (ჰუბშმანი 56), ნედვედი (იაროშიკი 80), როსიცკი, კოლერი (ლოკვენცი 46), სტაინერი (ჰაინცი 46)
მსაჯი: ერიკ ბრაამჰაარი (ჰოლანდია)
20 935 მაყურებელი

მოგეხსენებათ, ამხანაგური მატჩები მხოლოდ იმიტომ კი არ არსებობს, მწვრთნელებმა ფეხბურთელები რომ აარჩიონ ან სხვადასხვა ტაქტიკური ვარიანტები დაამუშაონ, იმიტომაც, ფეხბურთელებმა შეძლებისდაგვარად რომ მოაწონონ თავი და ნაკრებში დამკვიდრდნენ. პალერმოში, ვფიქრობთ, თავიანთ მწვრთნელებს თავი იტალიელმა ანდრეა პირლომ და ჩეხმა ტომაშ როსიცკიმ დაამახსოვრეს — შეხვედრა იტალიელებსა და ჩეხებს შორის 2:2 დასრულდა, ანუ მასპინძლებმა ვერ გაიმარჯვეს, სტუმრებმა კი წაუგებელ თამაშთა რაოდენობა ოცამდე გაზარდეს.

არადა, ეს შთამბეჭდავი სვლა 86-ე წუთზე კინაღამ შეუწყდათ, როდესაც 86-ე წუთზე ანტონიო დი ნატალემ იტალიელები თავურით დააწინაურა (2:1) — მაგრამ როსიცკიმ საჯარიმოს კიდიდან უმალვე გაქვითა და ჩეხებს ფრე დაუმკვიდრა. საერთოდაც, როგორც მოგახსენეთ, როსიცკიმ ამ შეხვედრაში დიდებულად ითამაშა.

ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელი კარელ ბრუკნერი: „როსიცკის თამაშს მის გუნდში, დორტმუნდის „ბორუსიაში“ ბოლო დროს ეჭვით უყურებენ, მაგრამ მე მწამდა, რომ ჩვენთან ნაკრებში ის აბსოლუტურად სხვანაირად წარმოჩნდებოდა. მან დაამტკიცა, თუ რა შეუძლია, როდესაც მოხერხებულ გარემოს შეუქმნი“.

როგორც მოგახსენეთ, თავი გამოიჩინა მილანელმა ანდრეა პირლომაც. პირლო, ბოლო ტურებში, სერია A-ში მართლაც დიდებულად თამაშობს და აი, ნაკრებშიც არ ჭამა სირცხვილი.

„კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით კი პირლო მინდა გამოვარჩიო — თქვა „სკუადრა ადურას“ თავკაცმა ჯოვანი ტრაპატონიმ — იგი ძალიან გაიზარდა და ბრწყინვალედ ითამაშა. ნახევარდაცვაში ბურთის სწორად გათამაშებაში პირლომ დიდი წვლილი შეიტანა და ტემპსაც მნიშვნელოვანწილად ის განსაზღვრავდა“.

შემდეგ ტრაპატონიმ აღნიშნა, რომ მისი გული „ემპოლის“ მოთამაშემ, ზემოხსენებულმა დი ნატალემაც მოიგო.

„მან მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჯერ ერთი, გოლი გაიტანა, მეორეც, კარში კარგად დაარტყა და საერთოდაც, ძალიან ცოცხლად მოქმედებდა, თუმცა ვფიქრობ, რომ ფლანგებზე თამაშს უკეთ შეძლებს, რადგან დაჩვეულია“.

იტალიის ნაკრების მწვრთნელს ხშირად აკრიტიკებდნენ, რომ ჩემპიონატამდე სულ რაღაც ოთხი თვით ადრე იგი ჯერ კიდევ შემადგენლობების ტრიალს მისდევს და ექსპერიმენტს ექსპერიმენტზე ატარებს, მაგრამ კრიტიკა თითქოს არ ესმისო, ტრაპატონიმ ამჯერადაც 22 მოთამაშე გამოსცადა და ბოლოს განაცხადა, რომ თითოეული მათგანით ძალიან კმაყოფილია.

„კმაყოფილი ვარ, რადგან რასაც ვეძებ, სწორედ იმის კარგ ნიშნებს ვხედავ. განსაკუთრებით ეს სამკაციან თავდასხმას ეხება. ტოტის, დელ პიეროსა და ვიერის ტრიო ამტკიცებს, რომ სერიოზულია და ჩვენთვის გამარჯვებების მოტანა შეუძლია“ — თქვა ტრაპატონიმ.

შედეგით კმაყოფილი გახლდათ ბრუკნერიც:

„ვფიქრობ, შედეგი სრულიად სამართლიანი იყო. კმაყოფილიც ვარ, რადგან იტალიაში ჩასვლა და იქიდან ფრის წამოღება აშკარად კარგის ნიშანია. ლამაზი ფეხბურთი უფრო პირველ ტაიმში ვნახეთ, მეორეში კი სურათი აბსოლუტურად შეიცვალა და ამის მიზეზი ბევრი ცვლილება გახლდათ. ჩვენ დავაკვირდით რამდენიმე ფეხბურთელს და ბევრი სასარგებლო დასკვნა გავაკეთეთ“.

**პაპუნა ძედია**



REUTERS

ლუი საჰას გოლში ზინედინ ზიდანის პასი ერია

# ლუის გოლი გასაჭარია
## სანტინის საფრანგეთის ზედიზედ 14

**ბელგია 0:2 საფრანგეთი**

0:1 გოვუ (45), 0:2 საჰა (76)
ბელგია: დე ფლიგერი (ერპოელი 46), დეფლანდრე (დე კოკი 85), ვ. კომპანი, სიმონსი, ვან დამი, ბასეჯიო (ბისკონტი 85), კლემანი, ვან დერ ჰიდენი (სოტერსი 55), მ. მპენზა (ე. მპენზა 71), სონკი (პიერონი 88), ბუფელი (შატელე 85)
საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, გალასი (ბუმსონგი 85), დესაი, მ. სილვესტრი (ლიზარაზუ 46), ვიეირა (როტენი 62), დაკური (მაკელელე 17), ზიდანი (კაპო 77), გოვუ (პირესი 46), საჰა (მექსეში 85), ლუინდულა (მარლე 62)
მსაჯი: მარკ ჰალსი (ინგლისი)
45 000 მაყურებელი

ბრიუსელში, სადაც ბელგიელები ევროპის ჩემპიონებს, ფრანგებს მასპინძლობდნენ, შეხვედრა სტუმრების გამარჯვებით, 2:0 დასრულდა და ეს ფრანგთათვის ზედიზედ მე-14 მოგებული მატჩი გამოდგა. მიუხედავად გამარჯვებისა, მთავარი თავდამსხმელების, დავიდ ტრეზეგესა და ტიერი ანრის გარეშე დარჩენილმა ფრანგებმა დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინეს, თუმცა მათმა მწვრთნელმა, ჟაკ სანტინიმ ასე განაცხადა:

„ძალიან მნიშვნელოვანი იყო მოგებათა სერია არ შეგვეწყვიტა და ჩვენ ეს შევძელით, თან ბელგიის მართლაც ძლიერ ნაკრებთან. მინდა დავძინო, რომ ლუისა და პეგისთვის დღეს თამაში ძნელი საქმე იყო, მაგრამ მათ შეასრულეს ის, რისთვისაც იყვნენ აქ ჩამოსულნი — ლუიმ გოლი გაიტანა, ხოლო პეგიმ პირველ გოლში მიიღო მონაწილეობა“.

განვმარტოთ, რომ აქ სანტინი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალშეძენილ ფორვარდს, ლუი საჰასა და ლიონელ პეგი ლუინდულაზე საუბრობს.

პირველი გოლი კი „ლიონის“ სხვა თავდამსხმელმა, სიდნეი გოვუმ 45-ე წუთზე დაუცველ კარში შეაგდო. საქმე ის გახლავთ, რომ ბელგიელთა მეკარემ, გერტ დე ფლიგერმა საჰას დარტყმული ვერ შეიმაგრა და ბურთი გოვუს ლუკმად იქცა.

მეორე გოლი საჰამ მეორე ტაიმის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე გაიტანა. ამჯერად მასპინძელთა კარში ახალი გოლკიპერი, ფრედერიკ ერპოელი იდგა, საჰას კი საგოლე პასი ზინედინ ზიდანმა მიაწოდა.

რაც შეეხებათ ბელგიელებს, მათ მხოლოდ ერთი ნამდვილი საგოლე მომენტი ჰქონდათ და ეს საჯარიმოდან ბურთის ძელისთვის გარტყმა გახლდათ. ეს ამბავი მე-60 წუთზე მოხდა. საჯარიმო ნახევარმცველმა პიტერ ვან დერ ჰიდენმა შეასრულა.

საინტერესოა, რომ ფრანგებს ივნისის შემდეგ გოლი არ გაუშვიათ. ივნისში მათ კარში თურქეთის ნაკრებმა გაიტანა, ის თამაში ევროპის ჩემპიონთა გამარჯვებით 3:2 დასრულდა და კონფედერაციათა თასის ნახევარფინალისა გახლდათ.

ბელგიისა და საფრანგეთის ნაკრებთა შეხვედრის მე-11 წუთზე კი ზიდანის პასი ლუინდულამ მიიღო და თითქოს უნდა გაეხსნა კიდეც ანგარიში, მაგრამ ზუსტად ვერ დაარტყა. ექვსი წუთის შემდეგ ოლივიე დაკურმა მარჯვენა ბარძაყი იტკინა და იგი კლოდ მაკელელემ შეცვალა.

აღსანიშნავია, რომ ბელგიის ნაკრების თავდამსხმელთათვის სტუმრების დაცვა მარსელ დესაის ხელმძღვანელობით დაუძლეველი აღმოჩნდა. თავის მხრივ, იყოჩაღა ბელგიელთა დაცვის ყმაწვილმა ცენტრალურმა მცველმა ვინსენტ კომპანიმ, რომელმაც საჰას გასაქანი არ მისცა.

შესვენებისას სანტინიმ ორი ფეხბურთელი შეცვალა. გოვუსა და სილვესტრის მაგივრად მოედანზე რობერ პირესი და ბიქსენტ ლიზარაზუ შევიდნენ, თუმცა ამ შეცვლებს თამაშის იერი არ შეუცვლია.

„ჩვენ ცოტა გაგვიმართლა. მიხარია, ლუიმ პირველსავე თამაშში გოლი რომ შეაგდო. ეს ჩინებულია“ — თქვა მატჩის შემდეგ ზინედინ ზიდანმა.

**პაპუნა ძედია**



REUTERS

მბო მპენზა და მიკაელ სილვესტრი

# ამხანაგური მატჩები

## ამხანაგობა ფაროში

### ფიგუს ასიანი და კინგის პირველი



REUTERS ფოტოები

ლუიშ ფიგუს ამ საჯარიმოს მერე ინგლისელთა კარი ძელმა იხსნა

**პორტუგალია 1:1 ინგლისი**

0:1 კინგი (47), 1:1 პაულეტა (70)

**პორტუგალია:** რიკარდუ, პ. ფერეირა (მონტეირუ 46), ფ. კოუტუ (ბეტუ სევერუ 84), ჟორჟე ანდრადე (რ. კარვალიუ 75), რუი ჟორჟე (ნუნუ ვალენტე 46), ფიგუ (ბოა მორტე 66), კოშტინია (დეკო სოუზა 46), ა. პეტი (ვიანა 83), რუი კოშტა (ტ. მენდეში 61), პაულეტა (უგო ალმეიდა 79), სიმაო (კ. რონალდო 46)

**ინგლისი:** ჯეიმსი, ფ. ნევილი (მილსი 46), კინგი, საუთგეიტი (ჯენასი 87), ე. კოული (ბრიჯი 17), ბექჰემი (ჰარგრივსი 87), ბათი (კარაგერი 87), სქოულზი (დაიერი 46), ლამპარდი (ჯ. კოული 46), ოუენი (სმიტი 71), რუნი (ჰესკი 71)

მსაჯი: ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

28 000 მაყურებელი

პაულეტას ლამაზმა საჯარიმო დარტყმამ პორტუგალიის ნაკრებს ფრე მოაპოვებინა ინგლისელებთან ამხანაგურ მატჩში, რომელიც ფაროს ახალ სტადიონზე გაიმართა.

პორტუგალია ამ მატჩით აღნიშნავდა ლუიშ ფიგუს მეასე სანაკრებო მატჩს, თუმცა ამ ამბავმა ბოლო რიგისკენ გადაიწია მას შემდეგ, რაც მეორე ტაიმის დასაწყისში დევიდ ბექჰემის ჩაწოდებულზე შორეულ ძელთან აიბლანდნენ მიგელ მონტეირუ და ლედლი კინგი, რომელმაც თავის პირველ სანაკრებო სასტარტოში გაიტანა კიდეც ეს გოლი. კინგი ძირითადში ინგლისელი მცველების ტრავმების ეპიდემიის შემდეგ მოხვდა და გაუმართლა კიდეც.

ორივე გუნდს ჰქონდა შანსები შეტევაში და შეცდომები დაცვაში. მეორე ტაიმის ხშირმა შეცვლებმა კი თამაშს ჩამოყალიბების საშუალება არ მისცა. ხარისხიანი ფეხბურთი ცოტა იყო — თუმცა ბრძოლა კი გამართული. პაულეტამ 25 მეტრიდან ჩაახვია ბურთი ზედა კუთხეში, თუმცა, ჯარიმა, რომელიც მან შეასრულა, სადავო იყო, ინგლისელები მსაჯს მომენტში უკეთ გარკვევას სთხოვდნენ, ნიკი ბათამდე ჯარიმა დეკუზე იყოო.

ინგლისელებს მეტად შესუსტებული ჰყავდათ დაცვა — გარეთ საუთგეიტის და კინგის წყვილი პირველ ნახევარ საათს საერთოდ ვერ ერკვეოდა სიტუაციებში. რიო ფერდინანდის, სოლ კემპბელის და ჯონ ტერის არყოფნაში ეს გასაკვირი არც იყო.

იუბილარ ფიგუს ჰქონდა შანსები, მაგრამ ერთხელ დევიდ ჯეიმსმა აუღო, მეორედ კი მისი საჯარიმო დარტყმა ძელმა აისხლიტა.

ინგლისმა იმძლავრა პირველი ტაიმის მიწურულს, თუმცა მაიკლ ოუენმა კარგი პასები გოლად ვერ გარდასახა. მეორე ტაიმში კი რიკარდუმ აუღო პირისპირ დარჩენილ ჯო კოულს.

დევიდ ბექჰემმა ფრე სწორ შედეგად მიიჩნია: „კარგად ვიმუშავეთ. მე ისევ ფლანგზე დამაყენეს, სადაც მეტყვიან, იქ ვითამაშებ“.

სვენ გორან ერიკსონმა კი თქვა: „კარგი, ნაღდად ამხანაგური თამაში იყო. სამთვენახევარია არ შევკრებილვართ და საჭირო იყო. ლედლი კინგი კი მზადაა დიდი მატჩებისთვის“.

**ირაკლი გამყრელიძე**

---

**ხორვატია 1:2 გერმანია**

0:1 კლოზე (34), 1:1 ნერეტლიაკი (86), 1:2 რამელო (90)

**ხორვატია:** პლეტიკოშა, სრნა (ბულე 64), შიმუნიჩი, ტომაში, რ. კოვაჩი (შიმიჩი 46), ბ. ჟივკოვიჩი, ბაბიჩი (ნერეტლიაკი 75), როსო (ლეკო 46), პრსო (ოლიჩი 58), ნ. კოვაჩი, კლასნიჩი

**გერმანია:** კანი, ფრიდრიხი, ნოვოტნი, ვიორნსი, ლამი, ბაუმანი, ფრინგსი (რამელო 62), ჰამანი, ფრაიერი (შნაიდერი 77), კლოზე (ლაუტი 80), კურანი (ბობიჩი 67)

მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

15 000 მაყურებელი

## ბოლოს იყო რამელო

### გერმანიამ ავი სტუმრობა გაიხსენა

შეცვლაზე შესულმა კარსტენ რამელომ ბოლოწამს შორიდან გაიტანა და მოუგო კიდეც სპლიტში სტუმრად ჩასულმა გერმანიამ ხორვატიის ეროვნულ გუნდს 2:1. შეგახსენებთ, რომ როგორც ერთი, ასევე მეორე, ევრო 2004-ის მონაწილეა.

რამელომ დაახლოებით 20 მეტრიდან დაარტყა, ოღონდ ბურთი მეკარე სტიპე პლეტიკოშას კარში პირდაპირ არ შეფრენილა, ბურთი ხორვატმა ნახევარმცველმა იერკო ლეკომ გაიტანა.

„ყველაფერი კარგად ნამდვილად არ იყო, მაგრამ ჩვენთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანი გამარჯვება გახლდათ, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ნოემბერში საფრანგეთთან 0:3 წავაგეთ და ახლა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია გვჭირდებოდა. ხორვატებმა თავიდან ძლიერად შემოგვიტიეს და შეხვედრის პირველი 20 წუთის განმავლობაში გვარიანად გაგვიჭირდა კიდეც. ამის შემდეგ უკვე ჩვენ ვჯობდით მოწინააღმდეგეს“ — ასე შეაფასა თამაში გერმანელთა მწვრთნელმა რუდი ფიოლერმა.

პირველ ტაიმში ხორვატთა დაცვა მართლაც ხარვეზიანი ჩანდა, რითაც გერმანელებმა ისარგებლეს და 34-ე წუთზე მიროსლავ კლოზემ კევინ კურანის ჩაწოდებით ანგარიში გახსნა — ეს გახლდათ პირველ ტაიმში აქეთ და იქით შექმნილ მომენტთაგან ერთადერთი, რომელიც გოლით დასრულდა.

ხორვატებმა ანგარიში 86-ე წუთზე გაქვითეს. გოლი თავური დარტყმით მატო ნერეტლიაკმა შეაგდო, ბოლოს კი, იცით, რაც მოხდა.

ცნობისთვის: ეს გახლდათ გერმანელების პირველი გამარჯვება სტუმრად 2001 წლის აგვისტოში, ბუდაპეშტში უნგრელებთან (5:2) მოგების შემდეგ.

გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარემ, ოლივერ კანმა რამდენიმე დარტყმა ჩინებულად მოიგერია, თამაში კი ასე შეაფასა:

„დიდებული თამაში აშკარად არ იყო, მაგრამ წლის დაწყება სტუმრად გამარჯვებით ბრწყინვალეა. წინ დიდი სამუშაო გვაქვს და მხოლოდ ამ სამუშაოს შემდეგ შევძლებთ მართლა დიდი გუნდების დამარცხებას, მაგრამ დღევანდელი თამაში მაინც ის არის, რაზეც შეიძლება მომავლის აგება“.

„მართალია, ჩვენ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა, მაინც მიმაჩნია, რომ კარგად ვითამაშეთ და ხუთი თუ ექვსი ბრწყინვალე საგოლე მომენტი შევქმენით. მეორე მხრივ, გავუშვით გოლი, რომელიც არ უნდა გაგვეშვა და ამის მიზეზი ერთი წამით ყურადღების მოდუნება გახლდათ“ — ასე განაცხადა ხორვატთა მწვრთნელმა ოტო ბარიჩმა.

**პაპუნა ძედია**



REUTERS სტოქფოტოდან

ტორსტენ ფრინგსმა და გერმანიამ ხორვატიული ჯებირი მაინც გადალახეს

---

**ჰოლანდია 1:0 აშშ**

1:0 რობენი (57)

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ჰეიტინგა, სტამი, კოკუ (ზენდენი 72), ბუმა (ფ. დე ბური 80), ვან დერ მეიდე (მაკაი 46), სნეიდერი (ზეედორფი 46), დავიდსი (ვან ბომელი 46), რობენი, ვან დერ ვაარტი, ვან ნისტელროოი (ვან ჰოიდონკი 80)

**აშშ:** კელერი, ჰეიდუკი (ჩერუნდოლო 85), ბერჰალტერი, გიბსი, ბოკანეგრა, კ რეინა (ვოლფი 72), არმასი, კონვეი, ლუისი (ბესლი 46), მაკბრაიდი (მატისი 61), დონოვანი

მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

30 000 მაყურებელი

**ისრაელი 6:0 აზერბაიჯანი**

1:0 არბეიტმამი (9), 2:0 ტალი (24პ), 3:0, 4:0 კატანი (45, 61), 5:0, 6:0 არბეიტმამი (65, 69)

**მაკედონია 1:0 ბოსნია**

1:0 პანდევი (22)

**პოლონეთი 2:0 სლოვენია**

1:0 ს. მილა (23), 2:0 ნედზელანი (64)

**მაროკო 2:1 შვეიცარია**

1:0 აჯედუ (78), 2:0 ალიაჯური (81), 2:1 ა. ფრეი (89)

**ჩრდ. ირლანდია 1:4 ნორვეგია**

0:1, 0:2 მორტენ პედერსენი (17, 35), 0:3 ივერსენი (43), 1:3 დ. ჰელი (56), 1:4 გილესპი (57ს.კ.)

**იამაიკა 2:0 ურუგვაი**

1:0 ლოუვი (9), 2:0 ჯ. ჯონსონი (82)

**ვენესუელა 1:1 ავსტრალია**

0:1 აგოსტინო (18), 1:1 არანგო (90)

გაძევება: ხოსე რეი (72, ვენესუელა)

**ჰონდურასი 1:1 კოლუმბია**

1:0 დე ლეონი (26), 1:1 სერხიო ერერა (56)

**მექსიკა 1:1 ჩილე**

0:1 ნავია (45), 1:1 ომარ ბრავო (50)

## მალტის ტურნირი 2004

**მესამე ტური**

**მალტა 0:4 ბელარუსი (11)**

0:1 კორნილენკო (11), 0:2 ციგალკა (29), 0:3 ბიაგანსკი (70), 0:4 ლაშანკუ (85)

**ესტონეთი 1:0 მოლდოვა**

1:0 ლინდპერე (58)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესტონეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:6 | 6 |
| ბელარუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| მალტა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| მოლდოვა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |

# ამხანაგური მატჩები

# ფხიზელმა ესპანეთმა განსხვავებულით დაიწყო

**ესპანეთი 2:1 პერუ**

0:1 სოლანო (21), 1:1 ეჩებერია (31), 2:1 ბარახა (33)

**ესპანეთი:** კასილიასი (კანისარესი 46), სალგადო (რაულ ბრავო 46), ელგერა, მარჩენა, პუიოლი, ეჩებერია (ხოაკინი 46), ხაბი ალონსო (ხავი 46), ბარახა (ალბელდა 46), ვისენტე (ლუკე 46), ვალერონი, რაული (ტამუდო 46)

**პერუ:** იბანიესი, სოტო (გ. სალასი 46), რებოსიო, გალიკიო (აკასიეტე 70), იდალგო, სიურლიცა, ზეგარა (ლა როსა 65), პალასიოსი (კინტეროსი 74), სოლანო (ხულიო გარსია 82), მენდოსა (ფარფანი 67), პიზარო (რობერტო სილვა 67)

**მსაჯი:** ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)

17 000 მაყურებელი

ორი წუთი დასჭირდა ინაკი საესის გუნდს, რათა კატალონიურ „მონჟუიკზე" შეკრებილი 23-ათასიანი ინჩასობა ორი გოლით და პერუს ეროვნულ გუნდთან გამარჯვებით გაეხალისებინა. თუმც ვიდრე ხოსება ეჩებერია და რუბენ ბარახა თავს გამოიჩენდნენ, სამხრეთამერიკელებმა მასპინძელთა გულშემატკივარი მრავალჯერ შეაშფოთეს. ერთი სიტყვით, ამხანაგური შერკინება დაძაბული და რთული გამოდგა.

მატჩი პერუელთა მძაფრი შეტევებით დაიწყო, რაც მასპინძელთათვის ფრიად მოულოდნელი გამოადგა. სოლანო, მენდოსა, პიზარო თუ სხვები არად დაგიდევდნენ სახელიან ევროპელებს და პირველი ნახევარი საათი ესპანეთის ნაკრები, ასე ვთქვათ, დაბნეული მეომრის როლში გახლდათ.

საესის შეგირდთა გაკვირვება განსაკუთრებით ანდელთა სისწრაფემ გამოიწვია, რამეთუ სამხრეთამერიკული გუნდებისთვის მოედანზე შეუსვენებლივ ქროლვა ჩვეული ამბავი არაა. თანაც, მოგეხსენებათ, ამ ბოლო ჟამს ნებისმიერი ფეხბურთელის ოსტატობის საზომად მისი ამა თუ იმ უმაღლესი დონის ევროპულ ჩემპიონატში გამოსვლა ითვლება, ხოლო „მონჟუიკზე" პერუს ოდენ 4 „ევროპელი" ჰყავდა. მიუხედავად ამ ლეგიონერული სიმწირისა, იკერ კასილიასს საქმე თავზე საყრელად ჰქონდა. ჯერ პიზაროს დარტყმა მოიგერია, შემდეგ სიურლიცამ მიზანს ოდნავ ააცილა, მერე კი გალიკიოს თავური ისევ ესპანელთა მეკარემ უკუაგდო. ყოველივე ამას ვალენსიელი რუბენ ბარახა პირველი ნახევრის დასაწყისში იბანიესის კართან საკმაოდ უვნებელი „ვიზიტით" პასუხობს.

სამხრეთულ ქარიშხალს თავისი ლოგიკური შედეგი უნდა მოჰყოლოდა და ასეც მოხდა — სოლანომ პიზაროს ზუსტი პასი შეირგო და მძლავრი დარტყმით კასილიასი უმწეოდ დატოვა. ამ ამბიდან ცოტა ხანში სოლანომ კვლავ სცადა გატანა, მაგრამ მისი ყუმბარისებური გასროლა ძელმა აისხლიტა.



ესპანელთა კარში შევარდნილ ბურთს პერუელი ქომაგიც მიჰყვა

ეს იყო და ესპანელები გამოფხიზლდნენ: 31-ე წუთზე ვისენტეს გადაცემის შემდეგ ეჩებერიამ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო 33-ზე ბარახა გახდა მომგებიანი თავურის ავტორი. ელვისებურმა გოლეადამ პერუ საგრძნობლად გატეხა და ტაიმთაშორისამდე ესპანელებს კიდევ ჰქონდათ გოლის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა.

მეორე ნახევარში ორივე გუნდის დამრიგებელმა ცვლილებათა კარუსელი აამოქმედა, თუმცა სტუმარ-მასპინძელმა რაიმე ღირშესანიშნავის გაკეთება ველარ მოახერხა.

| 5426 | მოდენა-ემპოლი | 1,6 | 2,4 |
| 5427 | რეჯინა-პერუჯა | 1,55 | 2,5 |
| 5428 | რომა-სიენა | 1,2 | 4,0 |
| 5430 | უდინეზე-ანკონა | 1,25 | 3,7 |
| 5431 | ბრეშა-ლეჩე | 1,65 | 2,3 |
| 5432 | ესპანიოლი-რეალი | 2,6 | 1,5 |
| 5433 | სელტა-მალაგა | 1,6 | 2,4 |
| 5434 | ვალენსია-ბარსელონა | 1,6 | 2,4 |
| 5435 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1,9 | 1,9 |
| 5436 | სევილია-სოსიედადი | 1,8 | 2,0 |
| 5437 | რასინგი-ვალიადოლიდი | 1,7 | 2,2 |
| 5438 | ოსასუნა-მალიორკა | 1,6 | 2,4 |
| 5439 | ალბასეტე-მურსია | 1,5 | 2,6 |
| 5440 | სარაგოსა-ვილიარეალი | 1,85 | 1,95 |
| 5441 | ბილბაო-ბეტისი | 1,7 | 2,2 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 21.02 16.30 | 6001 | ინგლისი პლ (XXVI) | 25 და ნაკლები – 1.9; 27 და მეტი – 1.9 |
| 21.02 18.30 | 6002 | გერმანია ბლ (XXI) | 25 და ნაკლები – 1.9; 27 და მეტი – 1.9 |
| 21.02 21.00 | 6003 | იტალია A (XXII) | 23 და ნაკლები – 1.9; 25 და მეტი – 1.9 |
| 21.02 22.30 | 6004 | ესპანეთი Iდ (XXV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 20.02 23.00 | 6005 | საფრანგეთი Iდ (XXV) | 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9 |
| 20.02 01.30 | 6006 | პორტუგალია სლ (XXIII) | 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9 |
| 20.02 23.30 | 6004 | ბელგია Iდ (XXIII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5101 | ჩელსი-არსენალი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5102 | მანჩესტერი-ლიდსი | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 6,5 | 20,0 | 30,0 | 20,0 | 20,0 |
| 5104 | ბოლტონი-სიტი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5105 | ჩარლტონი-ბლექბერნი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5107 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5108 | საუთჰემპტონი-ევერტონი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5109 | ვულვერჰემპტონი-ფულემი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5110 | ასტონ ვილა-ბირმინგემი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5111 | ტოტენჰემი-ლესტერი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5112 | შალკე-ვერდერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5113 | ვოლფსბურგი-მიუნხენი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5114 | მიონხენგლადბახი-ფრაიბურგი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5115 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5116 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5117 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5119 | ჰანზა-ჰანოვერი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5120 | დორტმუნდი-კიოლნი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5121 | ჰერტა-აინტრახტი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5122 | სამპდორია-პარმა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5123 | მილანი-ინტერი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5124 | ბოლონია-იუვენტუსი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 5125 | კიევო-ლაციო | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 5126 | მოდენა-ემპოლი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5127 | რეჯინა-პერუჯა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5128 | რომა-სიენა | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,4 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5130 | უდინეზე-ანკონა | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5131 | ბრეშა-ლეჩე | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5132 | ესპანიოლი-რეალი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 5133 | სელტა-მალაგა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5134 | ვალენსია-ბარსელონა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5135 | ატლეტიკო-დეპორტივო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5136 | სევილია-სოსიედადი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5137 | რასინგი-ვალიადოლიდი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5138 | ოსასუნა-მალიორკა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5139 | ალბასეტე-მურსია | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5140 | სარაგოსა-ვილიარეალი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5141 | ბილბაო-ბეტისი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5001 | ჩელსი-არსენალი | 3,0 | 2,1 | 3,2 | 1,23 | 1,54 | 1,26 |
| 5002 | მანჩესტერი-ლიდსი | 1,3 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,57 |
| 5004 | ბოლტონი-სიტი | 2,45 | 2,1 | 4,0 | 1,13 | 1,51 | 1,37 |
| 5005 | ჩარლტონი-ბლექბერნი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 5007 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 5008 | საუთჰემპტონი-ევერტონი | 2,35 | 2,1 | 4,4 | 1,1 | 1,53 | 1,42 |
| 5009 | ვულვერჰემპტონი-ფულემი | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |
| 5010 | ასტონ ვილა-ბირმინგემი | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5011 | ტოტენჰემი-ლესტერი | 1,9 | 2,3 | 5,6 | 1,04 | 1,41 | 1,63 |
| 5012 | შალკე-ვერდერი | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 5013 | ვოლფსბურგი-მიუნხენი | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5014 | მიონხენგლადბახი-ფრაიბურგი | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5015 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 2,1 | 2,1 | 5,6 | 1,04 | 1,52 | 1,52 |
| 5016 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 5017 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1,65 | 2,6 | 6,5 | 1 | 1,31 | 1,85 |
| 5019 | ჰანსა-ჰანოვერი | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,14 | 1,5 | 1,35 |
| 5020 | დორტმუნდი-კიოლნი | 1,65 | 2,6 | 6,5 | 1 | 1,31 | 1,85 |
| 5021 | ჰერტა-აინტრახტი | 2,05 | 2,15 | 5,6 | 1,04 | 1,5 | 1,55 |
| 5022 | სამპდორია-პარმა | 2,5 | 1,95 | 4,4 | 1,09 | 1,59 | 1,35 |
| 5023 | მილანი-ინტერი | 2,7 | 1,95 | 4,0 | 1,13 | 1,61 | 1,31 |
| 5024 | ბოლონია-იუვენტუსი | 4,8 | 2,0 | 2,35 | 1,41 | 1,57 | 1,08 |
| 5025 | კიევო-ლაციო | 4,0 | 2,0 | 2,6 | 1,33 | 1,57 | 1,13 |
| 5026 | მოდენა-ემპოლი | 2,35 | 2,0 | 4,8 | 1,08 | 1,57 | 1,41 |
| 5027 | რეჯინა-პერუჯა | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5028 | რომა-სიენა | 1,45 | 3,1 | 7,5 | 1 | 1,21 | 2,19 |
| 5030 | უდინეზე-ანკონა | 1,65 | 2,6 | 6,5 | 1 | 1,31 | 1,85 |
| 5031 | ბრეშა-ლეჩე | 2,35 | 2,0 | 4,8 | 1,08 | 1,57 | 1,41 |
| 5032 | ესპანიოლი-რეალი | 5,6 | 2,25 | 1,95 | 1,6 | 1,44 | 1,04 |
| 5033 | სელტა-მალაგა | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 5034 | ვალენსია-ბარსელონა | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |
| 5035 | ატლეტიკო-დეპორტივო | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 5036 | სევილია-სოსიედადი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 5037 | რასინგი-ვალიადოლიდი | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 5038 | ოსასუნა-მალიორკა | 2,3 | 2,05 | 4,8 | 1,08 | 1,55 | 1,43 |
| 5039 | ალბასეტე-მურსია | 2,2 | 2,05 | 5,0 | 1,06 | 1,52 | 1,45 |
| 5040 | სარაგოსა-ვილიარეალი | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1,21 | 1,54 | 1,28 |
| 5041 | ბილბაო-ბეტისი | 2,45 | 2,1 | 4,0 | 1,13 | 1,51 | 1,37 |

# გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5301 | ჩელსი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 5302 | მანჩესტერი-ლიდსი | 1,8 | 1,8 |
| 5304 | ბოლტონი-სიტი | 1,7 | 1,9 |
| 5305 | ჩარლტონი-ბლექბერნი | 1,7 | 1,9 |
| 5307 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 1,75 | 1,85 |
| 5308 | საუთჰემპტონი-ევერტონი | 1,75 | 1,85 |
| 5309 | ვულვერჰემპტონი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 5310 | ასტონ ვილა-ბირმინგემი | 1,75 | 1,85 |
| 5311 | ტოტენჰემი-ლესტერი | 1,75 | 1,85 |
| 5312 | შალკე-ვერდერი | 1,55 | 2,1 |
| 5313 | ვოლფსბურგი-მიუნხენი | 1,65 | 1,95 |
| 5314 | მიონხენგლადბახი-ფრაიბურგი | 1,6 | 2,0 |
| 5315 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 1,6 | 2,0 |
| 5316 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 1,6 | 2,0 |
| 5317 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1,7 | 1,9 |
| 5319 | ჰანსა-ჰანოვერი | 1,6 | 2,0 |
| 5320 | დორტმუნდი-კიოლნი | 1,65 | 1,85 |
| 5321 | ჰერტა-აინტრახტი | 1,7 | 1,9 |
| 5322 | სამპდორია-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 5323 | მილანი-ინტერი | 1,6 | 2,0 |
| 5324 | ბოლონია-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| 5325 | კიევო-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 5326 | მოდენა-ემპოლი | 1,7 | 1,9 |
| 5327 | რეჯინა-პერუჯა | 1,7 | 1,9 |
| 5328 | რომა-სიენა | 1,8 | 1,8 |
| 5330 | უდინეზე-ანკონა | 1,7 | 1,9 |
| 5331 | ბრეშა-ლეჩე | 1,7 | 1,9 |
| 5332 | ესპანიოლი-რეალი | 1,6 | 2,0 |
| 5333 | სელტა-მალაგა | 1,65 | 1,95 |
| 5334 | ვალენსია-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |
| 5335 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 5336 | სევილია-სოსიედადი | 1,65 | 1,95 |
| 5337 | რასინგი-ვალიადოლიდი | 1,65 | 1,95 |
| 5338 | ოსასუნა-მალიორკა | 1,65 | 1,95 |
| 5339 | ალბასეტე-მურსია | 1,65 | 1,95 |
| 5340 | სარაგოსა-ვილიარეალი | 1,65 | 1,95 |
| 5341 | ბილბაო-ბეტისი | 1,65 | 1,95 |

# რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| 5201 | ჩელსი-არსენალი | 1,9 | 1,7 |
| 5202 | მანჩესტერი-ლიდსი | 2,0 | 1,6 |
| 5204 | ბოლტონი-სიტი | 1,8 | 1,8 |
| 5205 | ჩარლტონი-ბლექბერნი | 1,8 | 1,8 |
| 5207 | ნიუკასლი-მიდლსბრო | [illegible] | 1,7 |
| 5208 | საუთჰემპტონი-ევერტონი | 1,7 | 1,9 |
| 5209 | ვულვერჰემპტონი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 5210 | ასტონ ვილა-ბირმინგემი | 1,75 | 1,85 |
| 5211 | ტოტენჰემი-ლესტერი | 1,95 | 1,65 |
| 5212 | შალკე-ვერდერი | 2,0 | 1,6 |
| 5213 | ვოლფსბურგი-მიუნხენი | 2,0 | 1,6 |
| 5214 | მიონხენგლადბახი-ფრაიბურგი | 1,9 | 1,7 |
| 5215 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 2,0 | 1,6 |
| 5216 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 1,8 | 1,8 |
| 5217 | ბაიერნი-ჰამბურგი | 2,2 | 1,5 |
| 5219 | ჰანსა-ჰანოვერი | 2,0 | 1,6 |
| 5220 | დორტმუნდი-კიოლნი | 2,0 | 1,6 |
| 5221 | ჰერტა-აინტრახტი | 1,95 | 1,65 |
| 5222 | სამპდორია-პარმა | 1,75 | 1,85 |
| 5223 | მილანი-ინტერი | 1,85 | 1,75 |
| 5224 | ბოლონია-იუვენტუსი | 1,75 | 1,85 |
| 5225 | კიევო-ლაციო | 1,9 | 1,7 |
| 5226 | მოდენა-ემპოლი | 1,65 | 1,95 |
| 5227 | რეჯინა-პერუჯა | 1,7 | 1,9 |
| 5228 | რომა-სიენა | 2,0 | 1,6 |
| 5230 | უდინეზე-ანკონა | 1,75 | 1,85 |
| 5231 | ბრეშა-ლეჩე | 1,75 | 1,85 |
| 5232 | ესპანიოლი-რეალი | 2,0 | 1,6 |
| 5233 | სელტა-მალაგა | 1,8 | 1,8 |
| 5234 | ვალენსია-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |
| 5235 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1,85 | 1,75 |
| 5236 | სევილია-სოსიედადი | 1,75 | 1,85 |
| 5237 | რასინგი-ვალიადოლიდი | 1,8 | 1,8 |
| 5238 | ოსასუნა-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 5239 | ალბასეტე-მურსია | 1,7 | 1,9 |
| 5240 | სარაგოსა-ვილიარეალი | 1,8 | 1,8 |
| 5241 | ბილბაო-ბეტისი | 1,75 | 1,85 |

# ჩემპიონები და თასის აღება

**9001**
**ინგლისი (21.02)**

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 1,4 |
| არსენალი | 3,0 |
| ჩელსი | 5,0 |

**9002**
**გერმანია (21.02)**

| | |
|---|---|
| ვერდერი | 1,5 |
| ბაიერნი | 2,1 |
| შტუტგარტი | 5,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |

**9003**
**იტალია (21.02)**

| | |
|---|---|
| მილანი | 1,4 |
| რომა | 4,0 |
| იუვენტუსი | 5,0 |

**9004**
**ესპანეთი (21.02)**

| | |
|---|---|
| რეალი | 1,3 |
| ვალენსია | 3,8 |
| დეპორტივო | 7,5 |

**9005**
**საფრანგეთი (20.02)**

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,2 |
| ლიონი | 3,5 |
| პსჟ | 8,0 |

**9006**
**პორტუგალია (21.02)**

| | |
|---|---|
| პორტუ | 1,04 |
| სპორტინგი | 7,0 |
| ბენფიკა | 15,0 |

**9007**
**ჰოლანდია (21.02)**

| | |
|---|---|
| აიაქსი | 1,16 |
| პსვ | 3,8 |

**9008**
**ავსტრია (21.02)**

| | |
|---|---|
| ავსტრია | 1,35 |
| რაპიდი | 4,0 |
| გრაცერი | 5,0 |

**9009**
**დანია (14.03)**

| | |
|---|---|
| ბრიონდბიუ | 1,3 |
| ესბიერგი | 4,0 |
| კოპენჰაგენი | 5,0 |

**9010**
**საბერძნეთი (14.02)**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 1,6 |
| პანათინაიკოსი | 2,0 |
| პაოკ | 8,0 |

**9011**
**უკრაინა (15.02)**

| | |
|---|---|
| შახტარი | 1,55 |
| დინამო | 1,95 |

**9020**
**ჩემპიონთა თასი (24.02)**

**რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს**

| | |
|---|---|
| ინგლისი | 1,8 |
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 2,9 |
| გერმანია | 9,3 |
| საფრანგეთი | 13,6 |

**9020**
**ჩემპიონთა თასი (24.02)**

| | |
|---|---|
| რეალი | 4,0 |
| მანჩესტერი | 4,6 |
| იუვენტუსი | 5,0 |
| მილანი | 5,0 |
| ჩელსი | 6,0 |
| არსენალი | 6,0 |
| ბაიერნი | 15,0 |
| დეპორტივო | 20,0 |
| შტუტგარტი | 25,0 |
| მონაკო | 25,0 |
| ლიონი | 30,0 |
| პორტუ | 40,0 |
| სოსიედადი | 40,0 |
| სელტა | 50,0 |
| ლოკომოტივი | 100,0 |
| სპარტა | 150,0 |

**9022**
**უეფას თასი (26.02)**

| | |
|---|---|
| რომა | 5,6 |
| ვალენსია | 6,0 |
| ბარსელონა | 6,0 |
| ინტერი | 6,0 |
| ლივერპული | 6,0 |
| ნიუკასლი | 8,0 |
| პარმა | 10,0 |
| სელტიკი | 12,0 |
| მარსელი | 15,0 |
| ბორდო | 25,0 |
| მალიორკა | 25,0 |
| პსვ | 25,0 |
| ოსერი | 25,0 |
| გალათასარაი | 30,0 |
| ბრიუგე | 30,0 |
| პერუჯა | 30,0 |
| ბენფიკა | 30,0 |
| ვილიარეალი | 30,0 |
| ბეშიქთაში | 30,0 |
| სოშო | 40,0 |
| პანათინაიკოსი | 40,0 |
| რუსენბორგი | 50,0 |
| სპარტაკი | 60,0 |
| გენჩლერბირლ. | 60,0 |
| ბრიონდბიუ | 60,0 |
| გაზიანთეფი | 100,0 |
| გროცლინი | 100,0 |
| ტეპლიცე | 100,0 |
| დნიპრო | 100,0 |
| ლევსკი | 150,0 |
| დებრეცენი | 250,0 |
| ვოლერენგა | 250,0 |

**9031**
**NHL (05.04)**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 4,5 |
| დეტროიტი | 5,0 |
| ფილადელფია | 5,5 |
| ვანკუვერი | 6,0 |
| ნიუ ჯერსი | 6,5 |
| ოტავა | 7,0 |
| ტორონტო | 7,5 |
| სტ.ლუისი | 10,0 |
| დალასი | 12,0 |
| ტამპა ბეი | 20,0 |
| ბოსტონი | 20,0 |
| ლოს ანჯელესი | 20,0 |
| სან ხოსე | 25,0 |
| რეინჯერსი | 25,0 |
| ატლანტა | 30,0 |
| კალგარი | 30,0 |
| ანაჰაიმი | 35,0 |
| მინესოტა | 35,0 |
| აილენდერსი | 40,0 |
| მონრეალი | 50,0 |
| ედმონტონი | 60,0 |
| ფინიქსი | 60,0 |
| კაროლინა | 75,0 |
| ჩიკაგო | 75,0 |
| ნეშვილი | 75,0 |
| ბუფალო | 100,0 |
| ფლორიდა | 100,0 |
| კოლამბუსი | 125,0 |
| პიტსბურგი | 125,0 |
| ვაშინგტონი | 125,0 |

**9032**
**NBA (15.04)**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 1,65 |
| საკრამენტო | 4,5 |
| სან ანტონიო | 5,0 |
| დალასი | 8,0 |
| ინდიანა | 10,0 |
| დეტროიტი | 12,0 |
| მინესოტა | 12,0 |
| ნიუ ჯერსი | 15,0 |
| ნიუ ორლეანი | 25,0 |
| ფილადელფია | 40,0 |
| ჰიუსტონი | 50,0 |
| ბოსტონი | 60,0 |
| დენვერი | 60,0 |
| ნიუ იორკი | 60,0 |
| პორტლენდი | 60,0 |
| ტორონტო | 60,0 |
| სიეტლი | 75,0 |
| იუტა | 75,0 |
| მილუოკი | 75,0 |
| გოლდენ სტ. | 100,0 |
| მემფისი | 100,0 |
| ფინიქსი | 100,0 |
| კლიპერსი | 150,0 |
| ორლანდო | 150,0 |
| მაიამი | 200,0 |
| ატლანტა | 250,0 |
| ვაშინგტონი | 250,0 |
| ჩიკაგო | 250,0 |
| კლივლენდი | 300,0 |

დღეს დილაადრიან საქართველოს მორაგბეთა ნაკრები თბილისი-პარიზი-ბარსელონას რეისით ესპანეთს გაფრინდა, სადაც ზეგ ერთა თასის მეორე ტურში მასპინძლებს დაუპირისპირდება. მცხეთური სამდღიანი შეკრება ცხრამეტმა „ბორჯღალოსანმა" გაიარა, სამი ლეგიონერი კი გუნდს ბარსელონაში დღეს შეუერთდება. ნაკრები სრული შემადგენლობით ივარჯიშებს და საკვირაო სასტარტო 15 გაირკვევა. გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე ერთ-ერთ მწვრთნელს პაატა ნარიმანაშვილს გავესაუბრეთ



პაატა ნარიმანაშვილი და სხვა მწვრთნელები გამთამაშებელ ოთარ ბარკალაიას მცველად გამწესებას უპირებენ

# ბორჯღალოსნები ძველებს ბარსელონაში შეხვდებიან

— მცხეთურმა შეკრებამ როგორ ჩაიარა?

— საკმაოდ კარგად. ყოველდღე ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა. ცხრამეტივე მორაგბე საბრძოლოდაა განწყობილი. არც ტრავმა აწუხებთ, ყველა ჯანზეა.

— ესპანური ვარჯიშები თუ დაგეგმეთ?

— ჩასვლის დღესვე, საღამოს 7 საათისთვის შევუკვეთეთ სტადიონი. ჩვენი თხოვნა იყო, წინა დღეებში იმავე სტადიონზე გვევარჯიშა, რომელზეც კვირას უნდა ვითამაშოთ, მაგრამ ალბათ ეს მხოლოდ შაბათს გამოვა.

— ახალწვეული ლეგიონერები ორივე დღეს მოასწრებენ გუნდთან ერთად ვარჯიშს?

— ვასილ კაცაძე, ბადრი ხეხელაშვილი და დავით დადუნაშვილი საფრანგეთიდან მანქანით ჩამოვლენ და აუცილებლად პარასკევსვე ივარჯიშებენ. მათ ისედაც გაუცდათ შეკრება.

— მიუხედავად ამისა, ძირითადში მაინც ითამაშებენ?

— შემადგენლობა უკვე შევარჩიეთ, მაგრამ ვერ გაგიმხელთ, რადგან პირველი ესპანური ვარჯიშის შემდეგ შეიძლება აზრიც შეგვეცვალოს.

— ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ნაკრების ახალწვეულებს თუ აქვთ სასტარტოში მოხვედრის შანსი?

— რა თქმა უნდა. მაგალითად, ოთარ ბარკალაია რომ ბესიკ ხამაშურიძის მაგივრად დადგება, გადაწყვეტილია.

— ურჯუკაშვილს ხეხელაშვილი შეცვლის?

— ალბათ, თუმც ეს გუგავასაც შეუძლია, ჯერ ვერ გეტყვით.

— ესპანეთიდან თბილისში ლეგიონერების გარეშე დაბრუნდებით?

— მეორე-მესამე ტურს შორის ორი კვირაა და უცხოეთში მოთამაშეები 23 თებერვლიდან კლუბებს მიუბრუნდებიან. სარუსეთო შეკრება კი სავარაუდოდ 1 მარტს დაიწყება.

ოთარ მაღლაკელიძე





# ჯონის დაიანა დაუდგა

24 წლის ინგლისელი ჯადომორაგბე ჯონი უილკინსონი თავისკბილა სატრფო დაიანა სტიუარტთან ერთად ამ დღეებში სეიშელის კუნძულებზე ნებივრობს. აქ წარმოდგენილი ფოტოებიდან კარგად მოჩანს, რომ მხარნაოპერაციევი მსოფლიოს ჩემპიონი ინდოოკეანურ სახურუშეთში დარტყმების დახვეწაზე მეტად ჭყუმპალაობითა და დიანათია დაკავებული... უუილკინსონო ინგლისმა კი გასულ კვირას რომში წლევანდელი ექვსერობა იტალიელთა 50:9 განადგურებით დაიწყო



# შენი ადგილი მიწაზეა
## ჰიუიტმა გონსალესს თიხაზე მიუთითა

### ABN AMRO
როტერდამი. ჰარდი
საპრიზო 842 ათასი ევრო

#### პირველი წრე

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:4, 6:3; **ხუან კარლოს ფერერო** (2, ესპანეთი) — დენის ვან შეპინგენი (ჰოლანდია) 6:3, 7:6 (7:5); **ლეიტონ ჰიუიტი** (6, ავსტრალია) — ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 6:2, 6:1; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — სარგსი სარგსიანი (სომხეთი) 6:7 (3:7), 7:6 (7:5), 6:1; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) — ტიერი ანსიონი (საფრანგეთი) 6:3, 6:1; **ტომაშ ჩაკლი** (ჩეხეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 7:6 (7:2), 7:6 (10:8)

#### მეორე წრე

**რაინერ შიუტლერი** (3, გერმანია) — რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) 6:3, 6:4

იმ დღეს საქმეში უკვე ბობოლებიც ჩაერთვნენ და ანგარიშებზევე დაატყობდით, მეორეს წრეს მათ სეტისწაუგებლად უწიეს. ოდნავ გაუჯანჯლდა მატჩი შარშანდელ ჩემპიონ მაქს მირნის, თუმცა როჯერ ფედერერის, ხუან კარლოს ფერეროსა და ლეიტონ ჰიუიტის გვერდით მას ბობოლად ვერ მოვიხსენიებთ.

ფედერერი კვლავაც საუცხოო ფორმაშია და — ჰიუსტონის მასტერსთასიდან მოყოლებული — ზედიზედ მეთხუთმეტე გამარჯვება მიითვალა. თუკი ის რუმინელ ანდრეი პაველსაც გაუსწორდება, უკვე პირადსარეკორდო შედეგს მოიმკის. კლემანს კი ის მეექვსედ ხვდებოდა და ნაამატჩევს თითოეულს სამი მოგება დაეკვეხება.

ხუან კარლოს ფერერო, ვინაც წინა კვირაში როდიკის სანხოსეური წარმატების შემდეგ რეიტინგსიის მესამე ადგილამდე ჩაქვეითდა, უსახელო ჰოლანდიელ ვან შეპინგენს გასცდა. ფერეროს ჩოგანი მას შემდეგ აღარ გაექნია, რაც რომ ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში ფედერერთან დამარცხდა. და იმის მიუხედავად, რომ მეორე სეტში ოდნავ გაუჭირდა, ჯამში მაინც კმაყოფილობდა — კარგი დასაწყისი იყოვო.

ყველაზე მეტად კი მილეთს კისკასი ოზბიჭის, ლეიტონ ჰიუიტის გამოჩენა და მის მიერ მძლავრ ჩილელთან, წინა კვირას ვინადელმარულ ტურნირზე გალაღებულ ფერნანდო გონსალესთან დამაჯერებელი გამარჯვება ეამა. გონსალესს ალბათ ის უჯობდა, ჩოგნაობა სამხრეთამერიკულსავე თიხნარზე გაეგრძელებინა.



ლეიტონ ჰიუიტი

### ATP BUENOS AIRES
თიხნარი
საპრიზო 380 ათასი $

#### მეორე წრე

**გილერმო კორია** (1, არგენტინა) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 6:3, 4:6, 6:1; **ნიკოლას მასუ** (3, ჩილე) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 6:2, 6:4; **რიშარ გასკე** (საფრანგეთი) — აგუსტინ კალიერი (5, არგენტინა) 7:5, 6:2; **ხუან მონაკო** (არგენტინა) — ხუან იგნასიო ჩელა (8, არგენტინა) 7:6 (7:4), 6:3

ტურნირზე კიდევ ორი განთესილი, არგენტინელები — ხუან იგნასიო ჩელა (8) და აგუსტინ კალიერი (5) წამოაქციეს. ბუენოსაირესულ მილეთს მხოლოდ ის თუ ანუგეშებდა, რომ ამათგან ერთი, სახელდობრ, ჩელა მათმავე ჭაბუკმა, 19 წლის ხუან მონაკომ გააიმასქნა. სახელიანი თვისტომის ძლევით მონაკო თავის პირველ საეიტიპიო მეოთხედფინალში გავიდა.

კალიერის კი უკვე სახელიანი ფრანგი ყმაწვილი, 17 წლის რიშარ გასკე მოერია. მისი მეტოქე მომავალ წრეში ნიკოლას მასუ იქნება, ვინაც კარიერის პირველი ტიტული ორი წლის წინ სწორედ იქ იშოვა. მონაკო კი პირველ ნომრად განთესილ გილერმო კორიას უნდა დაეჯახოს. კორიამ, სხვათა შორის, იმ დღეს პირველი სეტი დათმო თიხნარზე — არ გაგიკვირდეთ და — შარშანდელი როლანგაროსობის ნახევარფინალის შემდეგ.

### KROGER ST8 JUDE
მემფისი. ჰარდი
საპრიზო 690 ათასი $

#### პირველი წრე

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — ტოდ მარტინი (აშშ) 7:6 (7:2), 1:6, 7:5; **მარდი ფიში** (2, აშშ) — ოლივიე მუტი (საფრანგეთი) 4:6, 6:3, 6:4; **ჯეიმს ბლეიკი** (6, აშშ) — უესლი მოდი (სამხრეთ აფრიკა) 7:6 (7:5), 6:1

დღის უმთავრეს მოვლენად მემფისობაზე ენდი როდიკისა და მისი ჭარმაგი თვისტომის, 33 წლის ტოდ მარტინის ორ საათნახევრიანი ჭახა-ჭუხი იქცა. ენდიბოიმ — თუკი მის მიერ ავსტრიელებთან მოგებულ დევისმატჩებსაც მივათვლით — ზედიზედ მერვე მოგება მოიხვეჭა და ისეთი პირი უჩანს, რომ იქ მისი გამჩერებელი არავინ იქნება.

### PROXIMUS DIAMOND GAMES
ანტვერპენი. გრინსეტი
საპრიზო 585 ათასი ევრო

#### პირველი წრე

**კიმ კლაისტერსი** (2, ბელგია) — არანჩა პარა (ესპანეთი) 6:3, 6:2; **სილვია ფარინა ელია** (8, იტალია) — ელს კალენსი (ბელგია) 3:6, 6:2, 6:1; **კლარა კუკალოვა** (ჩეხეთი) — დინარა საფინა (რუსეთი) 6:3, 6:2

გუშინ გაირკვა, რომ ტურნირის მთავარგანთესილმა ჟუსტინ ენენ-არდენმა სუნთქვასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ანტვერპენში გამოსვლა იუარა და შინაური პუბლიკა პირში ჩოგანგამოვლებული, ხოლო კიმ კლაისტერსი ერთადერთ ლაზიერად დატოვა. შეგახსენებთ, რომ მასზე ადრე იქ არჩასვლის შესახებ განაცხადა მესამე ნომრად განთესილმა ვინუს უილიამსმა, რომელსაც ჯერ არ მოჰშუშებია ტოკიოში ნატკენი მუხლი.

მხოლოლაზიერად შთენილ კიმს იმ დღეს უსახელო ესპანელი პარას ძლევა არ გასჭირვებია.

ლევან ძელაურაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ბიჭი და სკამი

## ლოურენს ფრენკი ძველებს აწუხებს



ლოურენს ფრენკი

REUTERS

**გოლდენ სტეიტი 99:100 ლეიკერსი**
გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (25)
ლეიკერსი: ბრაიანტი (35), ონილი (31)

**კლივლენდი 98:114 დალასი**
კლივლენდი: ბუზერი (24), ჯეიმსი (16)
დალასი: ფინლი (23), ნეში (20)

**ნიუ ჯერსი 98:92 ატლანტა**
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (24)
ატლანტა: ჯეკსონი (25)

**დეტროიტი 102:98 მილუოკი**
დეტროიტი: ჰამილტონი (23)
მილუოკი: რედი (23), მეისონი (20)

**ტორონტო 82:86 სან ანტონიო**
ტორონტო: კარტერი (22)
სან ანტონიო: დანკანი (26)

**ნიუ ორლეანი 120:98 ვაშინგტონი**
ნიუ ორლეანი: მაშბურნი (26)
ვაშინგტონი: დიქსონი (16)

უყურა „ორლანდოს" მწვრთნელმა ზაზა ფაჩულიას, უყურა და მისგან ხეირი რომ ვერ ნახა, ხუთეულიდან სკამზე გადასვა. ქართველი ცენტრი წინა ორ მატჩში „მაიამისთან" და „მილუოკისთან" თავიდანვე გავიდა მოედანზე, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა. გუშინწინ „იუტასთან" კი ფაჩულია სათადარიგო იყო, რის შემდეგაც „ორლანდომ" როგორც იქნა, შეწყვიტა 8-მატჩიანი უიღბლო სერია.

საერთოდ, ორლანდოელებს ცენტრის, და გამთამაშებლის, პოზიციაზე ყველაზე მეტად უჭირთ და ახლა, როცა მათ ახმახ ბედოვლათ ენდრიუ დეკლერკს ტრავმა აწუხებს, ფაჩულიას კარგი შანსი ჰქონდა, მწვრთნელისთვის მიენიშნებინა, აქეთაც გამოიხედე, მეც შემიძლია თამაშიო. სამწუხაროდ, შანსი ჯერჯერობით გამოუყენებლად რჩება, რაკი „იუტასთან" „ორლანდოს" პისველცენტრობა ღრმა სათადარიგო სტივენ ჰანტერს მიანდეს.

ქართველს მაინც მისცეს შანსი, 17 წუთი ათამაშეს, მაგრამ ფაჩულიამ ვერც ამჯერად მოახერხა ხელის ყველას დასანახად გაქნევა. ხოლო ვინც იყოჩაღა, ის ისედაც ყოჩაღობს ხოლმე, თუმც ამჯერად ტრეისი მაკგრეიდიმ განსაკუთრებით მოიწადინა და იუტელებს 43 ქულა უთავაზა.

„მე ვერ ვასწავლი ჩემს გუნდელებს, რა რა დროს გააკეთონ, საამისო დრო არ გვაქვს — ამბობს მაკგრეიდი — ასე რომ, რაც მე შემიძლია, თამაშის საკუთარ თავზე აღებაა და თუ ბიჭებიც წამომყვებიან, მოგებებიც მოვა."

იმარჯვა მეორე „ქართულმა" გუნდმაც — „პორტლენდმა" სამმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა. ორეგონელებმა შინ ბეჩავი „კლიპერსი" ისე გათელეს, რომ ვლადიმერ სტეფანიას დახმარება არც დასჭირვებიათ. ქართველ ცენტრს სურდო შეჰყრია და არც გამოუცვლია.

თუმც ჯანზე რომც ყოფილიყო, სტეფანიას ალბათ მაინც სკამზე მოუწევდა ჯდომა, რაკი თეო რეთლიფმა კვლავ სასტარტოში დაიწყო, ხოლო პორტლენდელთა მანამდელმა მოწინავე ცენტრმა დეილ დევისმა მისთვის შეუფერებლად ცოტა, 9 წუთი ითამაშა.

ასეა თუ ისე, „პორტლენდმა" მოიგო და გამარჯვებულ მორის ჩიკსს ვერავინ მოსთხოვს სამართალს, დევისი ან სტეფანია რად არ ათამაშეო. ჩიკსის სიტყვა კანონია და აკი გუნდის ლიდერი ზაკ რენდოლფიც უდისციპლინობის გამო სასტარტო ხუთეულში არ დააყენა. ზაკმა წინა დღის ვარჯიშზე დაიგვიანა და ჩიკსის წყრომაც ამად დაიმსახურა — „კალათბურთი მისი საქმეა. ამაში ზაკი ფულს იღებს და რომ ეტყვიან ხუთზე მოდიო, ერთი წუთიც არ უნდა დააგვიანოს."

რენდოლფმა შეცვლაზე შემოსულმაც გააკეთა თავისი — საამსეზონო ორმაგ დუბლთა რიცხვი 30-მდე გაზარდა.

დიდი ბრძოლა გახურდა ოკლენდში, სადაც კალიფორნიულ დერბიში „გოლდენ სტეიტი" და „ლეიკერსი" შეასკდნენ. ბოლო წლებში ამ გუნდებს შორის იმხელა სხვაობა იყო, რომ ოკლენდელები ლამის წინასწარ ცხადდებოდნენ დამარცხებულებად, მაგრამ ახლა სხვა დროა, „ლეიკერსი" ტრავმებმა დააქვეითა და მრავალთა საჯიჯგნად გახადა.



ზაზა ფაჩულია იუტელ კარლოს აროიოს ბურთს ართმევს

REUTERS

ლოსანჯელესელებმა ამ სეზონში უკვე მოასწრეს ოკლენდელებთან დამარცხება და არც ამ მატჩში ელოდნენ გასეირნებას. კობი შაკი კი ჯანზე ჰყავდათ, მაგრამ კარლ მელოუნი ისევ მკურნალობს, გერი პეიტონმა კი სპიდი კლაქსტონის გასილაქებისთვის შუა თამაშში იძულებით დატოვა მოედანი.

რთულ მდგომარეობაში აღმოჩენილი ლოსანჯელესელები თითქოს წასაგებად გაიწირნენ, ლამის დათმეს კიდეც შეხვედრა, მაგრამ გუნდს შერჩენილმა ვარსკვლავებმა სწორედ ბოლო წამებზე იყოჩაღეს. კობიმ უმნიშვნელოვანესი მოხსნა გაჩარხა, შაკმა კი კლიფ რობინსონის უკანასკნელ წამზე ნასროლს დააფარა.

30-ქულიან ზღვარს კობიც და შაკიც ასცდნენ, დანარჩენებში კი უმეტესი გაძევებული გერი პეიტონს ანგარიშზეა — 7 ქულა. აი, ასეა ამ გუნდში როლები გადანაწილებული. ოდესღაც, როცა ეს „ლეიკერსი" ჯერ არ იყო ჩემპიონი, შაკილ ონილი თანაგუნდელებს ცოფავდა, ხელი გაანძრიეთო. მერე სამჯერ აისრულა საწადელი და დაწყნარდა.

გრძელდება „ნიუ ჯერსის" თავკაც ლოურენს ფრენკის სასწაულები. ამ კაცმა ამას წინათ ჩაიბარა „ნეთსი" და საწყისი 10 მატჩიც მოაგებინა. ფრენკი რომ პატ რაილის ანაც ლენი ვილკენსის გამოცდილების კაცი ყოფილიყო, ამით კაციშვილი არ გაკვირდებოდა, მაგრამ ის — მოდი და ნუ გაიკვირვებ — 33 წლის ჭაბუკი გახლავთ და ცხოვრებაში არ უმუშავია რაგინდარა ლიგის გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე. მაგრამ ამ მოგებით ფრენკი გახდა ნბა-ს ისტორიაში პირველი მწვრთნელი, ვისაც კარიერა ათი ზედიზედი გამარჯვებით დაუწყია.

ფრენკი ისტორიას ქმნის, მაგრამ ამბობს — „ჩვენ არ გვაინტერესებს რეკორდები, უბრალოდ, მოგებები გვჭირდება, პლეი ოფში კომფორტულად რომ ვიგრძნოთ თავი. ჩემი მიზანია, გუნდი რომ დილით ივარჯიშებს, საღამოს უკეთესი იყოს. ესაა კალათბურთის არსი, ხოლო მოგებები თავისთავად მოვა."

**ირაკლი პერტაია**

— 18 თებერვალი —

**ორლანდო 90:77 იუტა**
ორლანდო: ლუ, მაკგრეიდი (43), ბოგანსი, ჰოვარდი (20), ჰანტერი (6); გირიჩეკი (15), ფაჩულია (17 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), სტრიკლენდი (2), შ. უილიამსი (2), გუდენი
იუტა: აროიო (14), სტივენსონი (11), კირილენკო (12), რუფინი (6), ოსტერტაგი (7); ლოპესი (12), ბელი (10), კოლინზი (3), პავლოვიჩი (10), მ. უილიამსი

**პორტლენდი 101:86 კლიპერსი**
პორტლენდი: სტუდემაიერი (10), ანდერსონი (27), მაილზი (11), აბდურრაჰიმი (13), რეთლიფი (6); რენდოლფი (17), პატერსონი (9), დევისი (3), დიკაუ (3), კუკი (2)
*სტეფანია სათადარიგო იყო*
კლიპერსი: იარიჩი (4), რიჩარდსონი (20), მეჯიტი (23), ბრენდი (19), კამანი (14); ჰაუსი (4), ბარნსი (2), ვილკოქსი



# გეგმა არის, საჭიროა შრომა

## თავისუფლები მალე დასაქმდებიან

*სალიცენზიო ტურნირებმოვლილმა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ოლიმპიადისთვის მზადების გეგმა უკვე მოხაზეს. ამ დღეებში ბორჯომული შეკრებით დაიწყებენ და გეგმის მიხედვით სასურველ კონდიციებს ზაფხულისთვის მიაღწევენ. მანამდე თავისუფლებს რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი და თურქული ევროპის ჩემპიონატიც ელით, თუმც ისევ და ისევ ოლიმპიადაზე ნამსვლელთა სასარგებლოდ, შეიძლება ამ შეჯიბრებაზე შემადგენლობათა გადახალისებაც მოხდეს ხოლმე. ნაკრების დამრიგებელ ზაზა თურმანიძის ტრავმის გამო, მის მოვალეობას ელდარ კურტანიძის პირადი მწვრთნელი გია გალდავა ასრულებს. ბოლო სალიცენზიო ტურნირიდან იგი გუშინწინ დაბრუნდა და ერთი ოლიმპიური საგზურიც ჩამოიყოლა*

— სასიხარულოა, რომ საღირაშვილმა ბოლო შანსის გამოყენება შეძლო და ათენში ექვსი მოჭიდავე გვეყოლება. ჯობდა სრული გუნდი შეგვევსო, მაგრამ ვერ შევძელით.

— თქვენი აზრით ულიცენზიოდ დარჩენილი წონა ნაკრების სუსტი წერტილი იყო თუ იღბალმა დაგვალალატა?

— ბესიკ გუჩაშვილი 20 წლისაა და საოცრად მზარდი სპორტსმენია. შეიძლება მისგან ოლიმპიურ მედალს არც ველოდით, მაგრამ ათენში ჭიდაობა აუცილებლად სასიკეთოდ წაადგებოდა. საგზურის გარეშე პირველ რიგში უიღბლო კენჭისყრის გამო დარჩა. წელს ორივე ტურნირზე ფავორიტებთან დამარცხდა.

— ნაკრების ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი გეგმა როგორია?

— შაბათს ორკვირიან ბორჯომულ შეკრებას დავიწყებთ, ხოლო მარტის შუა რიცხვებში თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე წავალთ, რომელიც აპრილის ბოლოს, თურქეთშივე გასამართი ევროპის ჩემპიონატის რეპეტიცია იქნება. 3-4 აპრილს კი ბაქოში მსოფლიოს თასი თამაშდება. თუმცა ვიჭიდავებთ თუ არა, ჯერ არ ვიცით. ამისთვის ორგანიზატორთაგან მიწვევაა საჭირო. აზერბაიჯანელებს ჩვენი დაპატიჟებით სამეულში მოხვედრის შანსები უმცირდებათ.

— ბორჯომულ შეკრებაზე ყველა სახელიან მოჭიდავეს იახლებთ?

— არა მარტო ლიცენზიოსნებს. ყველა წონაში საუკეთესო სამეულები მიგვყავს, კონკურენცია რომ იგრძნობოდეს.

— ამჯერად ყურადღებას ფიზიკურ ან ტაქტიკურ მომზადებაზე გაამახვილებთ თუ ორივეზე ერთად?

— სტრატეგიაზე ვერაფერს გეტყვით. ეს საიდუმლოა, რადგან ოლიმპიური სამზადისის ერთ-ერთი ეტაპია.

— მომავალ საერთაშორისო ტურნირებზე ლიცენზიაგანაღდებულთა ნაცვლად თავის გამოჩენის საშუალებას კანდიდატებს ხომ არ მისცემთ?

— რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არც მათ დავტოვებთ. მაგრამ ძირითადად მაინც ოლიმპიადაზე წამსვლელებს დავტვირთავთ. თუმც შეიძლება მედალს იმხელა მნიშვნელობა არ მივანიჭოთ, რადგან ეს შეჯიბრებაც საათენო სამზადისის ნაწილია. ზაფხულამდე 2-3 ტურნირს ალბათ ნაკრების ყველა წევრს ვაჭიდავებთ. შიგადაშიგ კი გადანაწილებებსაც მოვახდენთ.

— ესე იგი ფავორიტები შეიძლება ევროპის ჩემპიონატზეც დაასვენოთ?

— სათურქეთოდ ოპტიმალური შემადგენლობა შეიკრიბება, თუმც გამორიცხული არაა, ერთი-ორი ლიცენზიოსანი ამ ტურნირსაც ავაცილოთ.

— ბიჭების დღევანდელ ფორმაზე რას იტყვით. ხვალ რომ ოლიმპიადა იწყებოდეს, რას იზამდნენ?

— სადღეისოდ ნაკრების არც ერთი წევრი საშეჯიბრო ფორმაში არაა და ამაში საგანგაშო არაფერია. ყველანაირად მზად რომ იყვნენ, სანერვიულო ის უფრო იქნებოდა. ახლახან ბაკურიანში ფიზიკური მზადება გავიარეთ და შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. გუნდი სწორედ იმ ფაზაშია, რომელშიც უნდა იყოს. თუ ასე გაგრძელდა, პიკს ათენის ოლიმპიადისათვის მივაღწევთ. მწვრთნელთა ჩანაფიქრი ასეთია და არა მგონია რაიმემ ხელი შეგვიშალოს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ფორმენი რინგზე?

## დონ კინგმა ოქრო გააჩხრიალა და ისტორიამაც გაიღვიძა

**7 წელი** გავიდა მას შემდეგ, რაც ჯორჯ ფორმენმა ხელთათმანები კედელზე ჩამოჰკიდა. ახლა კი, შეიძლება ის კვლავ ვიხილოთ რინგზე.

საქმე ისაა, რომ 30 წელი გასულა მძიმეწონოსანი ლეგენდების ფორმენი — ალის საჩემპიონო ბრძოლის შემდეგ. ამათ შორის 1974 წელს კონგოს დედაქალაქ კინშასაში გამართული მგრგვინავი ბრძოლა ისტორიაში ასეთივე სახელით შევიდა — „გრგვინვა ჯუნგლებში".

ჰოდა, ამ თარიღიდან ზედმეტი მილიონების ამოსაღებად გაქნილმა პრომოუტერმა დონ კინგმა ერთი შეხედვით წარმოუდგენელი პროექტი ჩაიფიქრა. მას სურს, რომ წარსული გააცოცხლოს! ამიტომაც ამოუჩრია გულში ფორმენის რინგზე დაბრუნება. ჯორჯის დაყოლიებას კინგი, თურმე ბოლო ერთი კვირაა ცდილობს და აგერ, მოახერხა კიდეც. ოღრაში დონი სიამოვნებით დააჯახებდა ჯორჯ ფორმენს მუჰამედ ალის, მაგრამ ალის, მოგეხსენებათ, პარკინსონის დაავადება სჭირს და მუშტის მოქნევა კი არა, კაცისთვის ხელის ჩამორთმევა უჭირს.

ფორმენი კი 55 წლისაც ჯანზეა, ცოტა წონას დაიგდებს და ვინმე ათიოდ წლით უმცროსს მარჯვედ გაუშლის ჰუკს, თანაც იძახის — ჩემი ხნის ბებერთან ბრძოლას რა აზრი აქვსო და დასძენს კარგი იქნება თუ ბრძოლას ჩემს მშობლიურ ქალაქ ჰიუსტონში გავმართავო.

„ფორმენს სურვილი აქვს კიდევ ერთხელ ავიდეს რინგზე, ხოლო რაც შეეხება მოლაპარაკებას, ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვიერ შეთანხმებას მივაღწიე მასთან — ამბობს დონ კინგი — ჩვენ ერთად უნდა მოვაწყოთ ეს შოუ. ჩვენ ოქროთი სავსე ქოთანი გველის."

**გოჩა გაგუნია**



ჯორჯ ფორმენს თავი ისევ ახალგაზრდა ჰგონია



## რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS ნეშვილიდან

სანხოსელმა ნიკოს დიმიტრაკოსმა ნეშვილელი ჯორდინ ტუტუ ჰაერში შეისროლა

# მტაცებელს კბილებს უნუნებდნენო

— 18 თებერვალი —

**კოლორადო 1:5 ედმონტონი**

*0:1 0:3 1:1*

0:1 რ. სმიტი (19), 0:2 ულანოვი (25), 0:3 სტეიოსი (26), 0:4 ჯ. სმიტი (31), 0:5 ჰორკოფი (48), 1:5 კლარკი (60)

**დეტროიტი 5:2 ფინიქსი**

*1:0 1:0 3:2*

1:0 დანდენო (14), 2:0 ჰალი (37), 2:1 გრეტონი (47), 3:1 შნაიდერი (49), 3:2 შორსტრიომი (50), 4:2 დრეიპერი (59), 5:2 დრეიპერი (60)

დეტროიტელმა ბრეტ ჰალმა კარიერაში 263-ედ გაიტანა რიცხვმრავლობაში და ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე მყოფ ტამპელ დეივ ანდრეიჩუკს გაუტოლდა. ასე რომ, სანამ ეს ორი ვეტერანი ყინულზეა, საინტერესო დუელის მომსწრენი ვიქნებით. თავად ანდრეიჩუკმა ამ ოთხიოდე თვის წინ მოიპოვა პირველობა ამ ნომინაციაში.

**ნეშვილი 7:3 სან ხოსე**

*2:2 3:0 2:1*

0:1 მარლო (5), 1:1 სალივანი (10), 2:1 სალივანი (13), 2:2 ეკმანი (15), 3:2 ჯონსონი (21), 4:2 ტიმონენი (26), 5:2 სალივანი (38), 6:2 უოკერი (41), 7:2 ტიმონენი (42), 7:3 ტორნტონი (47)

დასავლეთში 8 საპლეიოფო საგზურისთვის რეალურად მებრძოლ ცხრა გუნდს ბოლოს „ნეშვილი" გამოეთიშებაო, ამბობენ სპეციალისტები და მიზეზად „მტაცებელთა" გამოუცდელობას ასახელებენ. მათი ღრმა რწმენით, ჯერ მხოლოდ მეოთხე წელია, რაც „ნეშვილი" ლიგაში ასპარეზობს და მას ბობოლები ადვილად გასრესენ. ისე, ამას დიდი ხანია, გაიძახიან, „ნეშვილი" კი სულაც არ აპირებს იმათ სიტყვებზე თამაშს და ამაში არაერთი მისი კონკურენტი დარწმუნდა. ოთხშაბათს კბილები სანხოსელმა „ზვიგენებმაც" წაამტვრიეს. ზუსტად წინა დღეს „მტაცებლებმა" „ჩიკაგოდან" სტივ სალივანი გადაიბირეს და ახალმოსულმა პირველივე მატჩში შეტევების სულისჩამდგმელი გახდა. სამი შაიბით (კარიერაში მე-4 ჰეთ თრიქი) და ერთი პასით ახალშეძენილმა ლომის წილი დაიდო გამარჯვებაში. უნდა ითქვას, რომ სალივანმა სამივე გოლი რიცხვმრავლობაში გაიტანა. საერთო ჯამში კი მასპინძლებმა 7 ცდიდან 5 (!) გამოიყენეს.

„ამაში გასაკვირი არაფერია. გუნდს ისეთი დაცვითი წყვილი ჰყავს ტიმონენისა და ჟიდლიცკის სახით, რომ მე მხოლოდ მათ მიერ დაწყებული საქმის დასრულებაღა მმართებდა" — თქვა სალივანმა მატჩის შემდეგ. ამ წყვილის მონაგარი კი მართლაც სოლიდურია — ფინელმა კიმო ტიმონენმა 2 გოლს პასიც დაამატა, ხოლო ლიგის დებიუტანტმა გარეკ ჟიდლიცკიმ 5 პასი მიითვალა.

**ანაჰაიმი 3:1 კოლუმბუსი**

*1:1 0:0 2:0*

0:1 სენდერსონი (6), 1:1 სივერსონი (12), 2:1 პროსპალი (59), 3:1 ფიოდოროვი (60)

**აილენდერსი 4:3 პიტსბურგი**

*1:0 1:2 2:1*

1:0 ჩერკავსკი (15), 1:1 სუროკი (27), 1:2 ჯეკმენი (35), 2:2 ჩერკავსკი (40), 3:2 ჰამრლიკი (43), 4:3 იუნსონი (47), 4:3 კრაფტი (52)

**ლოს ანჯელესი 3:4 დალასი**

*1:0 1:3 1:1*

1:0 რობიტაილი (11), 1:1 მოდანო (24), 1:2 მოდანო (29), 1:3 ლეჰტინენი (33), 2:3 არმსტრონგი (37), 2:4 მოროუ (48), 3:4 ევერი (55)

**ბუფალო 1:1 ფლორიდა**

*1:0 0:0 0:1 0:0*

1:0 ბულტონი (5), 1:1 ნილსონი (50)

# ბონდრა დედაქალაქს ვერ გასცდა

**9 მარტი** ლიგაში „დედლაინის" დღეა, თუმც გადასვლა-გაცვლების ციებ-ცხელება გაცილებით ადრე დაიწყო და პირველი დიდი გარიგება ოთხშაბათს შედგა. პლეი ოფის მიღმა დარჩენილმა „ვაშინგტონმა" მომავალზე ზრუნვა დაიწყო და მორიგი ვარსკვლავი, მეკარე პეტერ ბონდრა გაყიდა. სლოვაკი ვაშინგტონის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოთამაშე და ქომაგთა კერპი გახლდათ, მაგრამ აშშ-ს დედაქალაქში 14 წლის განმავლობაში ვერაფერი მოიგო და, ცხადია, სხვა, უფრო წარმატებულ კლუბში გადასვლა მოინდომა. ახლა იგი კანადურ „ოტავაში" იასპარეზებს. ვფიქრობთ, ბონდრას შედეგიანობა და სისწრაფე „სენატორებს" უდიდეს სარგებლობას მოუტანს. თანაც გუნდში უამრავი სლოვაკი და ჩეხია, ასე რომ, პეტერს საერთო ენის გამონახვა არ გაუჭირდება. ოტაველთა ფანობა კი გულაჩქროლებულია — ნუთუ ახლა მაინც აუსრულდებათ ნატვრა და მრავალწლიანი წინსვლა ესოდენ სანუკვარი ტრიუმფით დასრულდება.



„ვაშინგტონის" მეკარემ პეტერ ბონდრამ აშშ-ს დედაქალაქი კანადისაზე გაცვალა



## ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. XIV ტური. 19 თებერვალი

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| ოლიმპია 85:81 ციბონა | ჟალგირისი 75:78 ცსკა |
| ძირითადი დრო 73:73 | მაკაბი 88:86 სიენა |
| რომა 73:80 პო ორტეზი | სკიპერი 82:60 უნიკახა |
| ულქერი 61:76 ბარსელონა | პანათინაიკოსი 101:67 კრკა |
| პარტიზანი 78:71 აეკ | |



REUTERS

ციბონელი სლავენ რიმაცი ოლიმპიელებმა ალოიზიუს ანაგონიემ და ვლადიმერ ბოისამ მოიმწყვდიეს



# ქალები კაცებს მიადგნენ

**ვერ გეტყვით**, საქართველოს პრეზიდენტი ქალებისკენ საკუთარი გემოვნებით მიიწევს, დასავლეთის გავლენით თუ უბრალოდ ინტერესთა დამთხვევის გამო, მაგრამ ცხადია, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი სუსტი სქესისკენ სულ მეტად იხრება.

იყო დრო, როცა ოლიმპიურ თამაშებში ქალები საერთოდ არ გააჭაჭანეს. მეორე ოლიმპიადაზე ქალები მხოლოდ ცხრანი იყვნენ, მერე და მერე მათი რაოდენობა თანდათან გაიზარდა. მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე სპორტსმენ ქალთა რაოდენობამ 21 პროცენტს მიაღწია, ხოლო ბოლო სიდნეის თამაშებზე ამ მაჩვენებელმა 38,2 პროცენტამდე აიწია.

ამასთან, პარალელურად მცირდება იმ ეროვნული ნაკრების გუნდების შემადგენლობა, რომლებიც მხოლოდ მამაკაცებითაა დაკომპლექტებული. მაგალითად, 1996 წელს ატლანტაში 26 მონაწილე ქვეყანა მხოლოდ მამაკაცებით გამოვიდა. სიდნეიში მათი რაოდენობა ცხრამდე შემცირდა, ხოლო წლეულს ათენის ოლიმპიურ თამაშებში სავარაუდოდ მხოლოდ ოთხი-ხუთი სახელმწიფო იასპარეზებს უქალებოდ.

ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ქალები საერთო რაოდენობის 44 პროცენტს მიაღწევენ. მეტიც, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ბელგიელი დოქტორი ჟაკ როგი ვარაუდობს, რომ უახლოეს ათწლეულში ოლიმპიურ თამაშებზე ქალთა და კაცთა რაოდენობა გათანაბრდება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



REUTERS კრასნოიარსკიდან

# მზადება

რუს მთამსვლელთა გუნდი აგრძელებს მზადებას ევერესტის დასალაშქრად. გუნდი კრასნოიარსკში ემზადება და მიზნად აქვს, სამყაროს უმაღლეს მწვერვალზე ურთულესი, ჩრდილოეთის კალთიდან ავიდეს. ვლადიმერ არხიპოვი, საბჭოეთისა და რუსეთის ხუთგზის ჩემპიონი მეკლდეური ამ გუნდის წევრია და კლდეებზე ვარჯიშობს.

# საჩვენებელი სუმო

სამხრეთ კორეაში, პუსანში გრძელდება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველი სუმოს საჩვენებელი გამოსვლები. დიდი იოკოძუნა, ტომით მონღოლი ასაშორიუ (მარცხნივ) ოზეკ ტოჩიაზუმას ამარცხებს. კორეელებს კი ნამდვილად მონატრებიათ სუმო.



REUTERS პუსანიდან





REUTERS ჩეზენატიკოდან





REUTERS ალბუფეირადან



REUTERS ჩეზენატიკოდან

# პანტანის დაკრძალვა

ამ აკლდამაში განისვენებს მარკო პანტანი, დიდი იტალიელი ველომრბოლი, რომელიც გასულ შაბათს 34 წლისა მკვდარი იპოვეს რიმინის ერთ-ერთ სასტუმროში. ჩეზენატიკოში, სან ჯაკომოს ეკლესიასთან ზღვა ხალხმა მოიყარა თავი. ბევრს ეკეთა ყვითელი ბანდანა, ისეთი, როგორც ამ პატარა ბიჭს. ბანდანა პირატად წოდებული ვარსკვლავის იერის ჩვეული ატრიბუტი იყო. გასვენების ადგილიდან შორს კი წუთით გაირინდნენ „ალგარვე ტურის“ მონაწილეები, მათ შორის კი ლენს არმსტრონგი (მარჯვნივ), რომელთანაც განსვენებულს რთული ურთიერთობა ჰქონდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge